ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ორშაბათს და ხუთშაბათს №115 (1625) 15-17 დეკემბერი, 1997 წელი ფასი 50 თეთრი

## სტალინმა ბრძანა: დაუყოვნებლივ დაეძრათ მატარებელი, თუნდაც ყველა გაეტანათ...





## მთავარ მესაზღვრეს საზღვარი სულაც ფეხებზე ჰკიდია — აცხადებს სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი

მეოთხე გვერდი

## რუსეთის ჯარის გაყვანა აუცილებელია

### საზოგადოებისათვის

ცნობილია, რომ იმ ხუთ ძირითად პრინციპთა რიცხვში, რომელთა აღიარებითაც დღეს იზომება, ესა თუ ის მოქალაქე საქართველოს რეალური თავისუფალი სახელმწიფოებრიობის მომხრეა თუ არა, ერთ-ერთია *რუსეთის შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოს მთელი ტერიტორიიდან.* ამის გაკეთება საქართველოსათვის აუცილებელია შემდეგი სამი მიზეზის გამო.

პირველი. თუმცა ითვლება, რომ რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიაში დღეს **უგვგმოა**, ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. რუსეთს არ მოუნახავს ჯერ თავისი ახალი პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ, ანუ ის პოლიტიკა, რომელიც მისთვის ხელსაყრელიცაა და პრაქტიკუ-

მეორე გვერდი

**თემის გაგრძელება**

## ამბობენ, ცისფერებმა პარლამენტში ოფიციალური წევრიც კი მოისურვესო...

მესამე გვერდი

## რედაქტორები და პოლიციის შეფები

გუშინ, მასმედიის წარმომადგენლები სტუმრად იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად იმოგზაურეს და მიმოიხილეს...

თუ სად იმოგზაურეს და რა მიმოიხილეს, ამაზე დაწვრილებით ჩვენი გაზეთის ხუთშაბათის ნომერში იხილეთ მთავარი რედაქტორის წერილი.

# რუსეთის ჯარის გაყვანა აუცილებელია

ნოდარ ნათაძე

პირველი გვერდიდან

ლად შესაძლებელიცაა დღეს, როცა ამიერკავკასიაში მასზე უფრო დიდი ძალა – სახელდობრ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზეგანვითარებული დასავლეთ ევროპის ძალა – შემოდის. მაგრამ რუსეთის ტრადიციული პოლიტიკა ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მიმართ გარკვეულია და დღეს რუსეთი მისი ინერციის ხაზს მისდევს იმ ანგარიშით, რომ დასავლეთის პირველხარისხოვანი ინტერესი ამიერკავკასიისადმი ერთი ან ორი თაობის სიცოცხლის მანძილზე შემცირდება (გეოპოლიტიკის ყურადღების ცენტრი სხვა რეგიონებზე გადაინაცვლებს) და რუსეთი, თავისი მახლობელი მდებარეობის წყალობით, კვლავ დაბრუნდება ამ რეგიონში როგორც სუპერძალა.

როგორც ცნობილია, ეს ინერციით ნაკარნახევი პოლიტიკა რუსეთისთვის დღეს (რაკი მას ამიერკავკასიის არც კვლავ დაპყრობა, არც, უბრალოდ, პყრობა აღარ ძალუძს) აქაური დამოუკიდებელი და სახელმწიფოებრივი შენობის *ნგრევის*, ანუ *ეკონომიკური საბოტირების, შიდა ომთა ორგანიზაციის, სეპარატისტულ მოძრაობათა ორგანიზაციის, კრიმინალური განუკითხაობის შექმნის* პოლიტიკაა და ვერც იქნება რამ სხვა. რუსეთის პოლიტიკის ეს ორიენტაცია ნგრევისკენ გასაგებია, თუ ინტენსიური ტვირთბრუნვა ცენტრალური ევროპიდან შუა აზიისაკენ და მსოფლიო ოკეანიდან შუააზიისაკენ კასპიის ზღვითა და ამიერკავკასიით მართლაც განვითარდება (ეს კი, ყველა მონაცემით, გარდუვალია), მაშინ აქ აუცილებლად განვითარდება დამხმარე მომსახურე სტრუქტურებიც (ამ სატრანსპორტო მაგისტრალთა დაცვის სტრუქტურათა ჩათვლით) და ეს სტრუქტურები თვითონ იქცევა ამ მაგისტრალის შემდგომი და შემდგომი განვითარების ფაქტორად. ამით რუსეთს, ერთის მხრივ, სამუდამოდ გადაეკეტება სამხრეთისკენ შემდგომი ექსპანსიის გზა, მეორე მხრივ, აქტიური უცხო ზოლი გაუჩნდება ამიერკავკასიისა და შავი ზღვის განედების გაყოლებით, რაც მას მუდმივი დაძაბულობისა და სიფხიზლის აუცილებლობას შეუქმნის. ამგვარად, საქართველოს ნგრევის პოლიტიკა დღეს რუსეთისთვის აგრესიული პოლიტიკა კი აღარ არის, არამედ, შეიძლება ითქვას, კონსერვატიული, თავდაცვითი პოლიტიკაა, რომელსაც იგი არ შეცვლის საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებული „რევერანსების" გამო მანამდე, სანამ არ დათმობს თავის, როგორც სუპერძალის, ამბიციას ამ რეგიონში საერთოდ.

ის, რომ რუსეთს საქართველოში დღეს თავისი ძირითადად მორჩილი ხელისუფლება ჰყავს დასმული, ვითარებას ართულებს, მაგრამ არ ცვლის. საქართველოს ხელისუფლებაში თავისი მარიონეტების ყოლა რუსეთს ვერ უქმნის იმის პერსპექტივას, რომ ამიერკავკასია კვლავ თავის შინაურ სტრატეგიულ და ტაქტიკურ რეგიონად აქციოს. ამიტომ, თუმცა იგი განაგრძობს კავკასიონის სამხრეთით სტრატეგიული გაძლიერების ცდებს (ცხინვალში „რესპუბლიკის" შექმნის მცდელობა, აფხაზეთში და ფოთში ჩადგომა, ირანულ-სომხური ალიანსის შექმნის მცდელობა და სხვა), იგი თავისი ძირითადი პოლიტიკური ხაზის ამ ცდებზე დამყარებას არ ფიქრობს და ვერ იფიქრებს. მის სტრატეგიულ ამოცანად საქართველოსა და აზერბაიჯანში (განსაკუთრებით კი პირველში) *დესტაბილიზაცია* და ამ ტერიტორიებზე ახალი გეოსტრატეგიული ძალხაზების ზემოხსენებული განლაგების *შეფერხება* რჩება. საამისოდ მას – საქართველოში მისი ჯარის დგომის პირობებში – მრავალგვარი საშუალებები გააჩნია:

**ჯერ ერთი,** მას საქართველოში ათეულათასობით აგენტურა ჰყავს. მეორეც, მას ემორჩილებიან საქართველოს არაქართველი მოსახლეობის დიდი ხნის წინ გამოზრდილი არაფორმალური „ლიდერები". ორივე ამ კატეგორიის ადამიანთა ამოქმედებისათვის მას იდეალური იურიდიული და მატერიალური შესაძლებლობები აქვს მაშინ, როცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილები მის არმიას უკავია, რომელსაც საკუთარი წესდებების თანახმადვე ეკუთვნის გარშემო მოსახლეობასთან კონფლიქტის ქონა. *მესამეც*, ახალქალაქში მას უყენია ძირითადად სომხებით დაკომპლექტებული დივიზია, *მეოთხეც*, აფხაზეთში და ბათუმში მას ჰყავს შეიარაღებული ძალა, რომელიც არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით ბატონობს გარემოზე, არამედ პოლიტიკურ ფუნქციებსაც ასრულებს. ყველგან, სადაც დგანან და ტერიტორია უკავიათ, რუსებს სრული შესაძლებლობა აქვთ იარაღის შეტანა-გატანისა და დარიგებისა, აგენტურის ხელმძღვანელობისა, ეკოლოგიურ ვითარებაზე ზემოქმედებასა „სტიქიურ" მოვლენათა გამოწვევის ჩათვლით (რაც დღეს ტექნიკურად პრობლემა აღარ არის), ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისა და სხვა აქტების ორგანიზაციისა, რაც საქართველოში წესრიგის დაცვას შეუძლებელს გახდის.

**მეორე.** საქართველო თავისი მეზობლების წინაშე და მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებელია ყველა იმ შეიარაღებაზე, რაც მის ტერიტორიაზე არსებობს, და ყველა იმ საომარ მოქმედებაზე (სადაზვერვოს ჩათვლით), რაც მისი ტერიტორიიდან წარმოებს. სანქციები გადაცდომის შემთხვევაში ფრიად მკაცრია და აბსოლუტურად ულმობელი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ამიერკავკასია იყო რუსეთის ზურგი შეტევითი ოპერაციების მზადებისათვის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ, დივერსიულისა და სადაზვერვოს ჩათვლით. საქართველომ დღეს არ იცის და არ მოეპოვება არანაირი საშუალება, იცოდეს, რა შეიარაღება ინახება რუსეთის ბაზებზე, რა დივერსიული ჯგუფები მზადდება, რა ოპერაციები ტარდება და ვის წინააღმდეგ (ამას წინათ იყო თურქეთის მწვავე გამოხმაურება საქართველოს ტერიტორიაზე ქურთი მებრძოლების შესაძლო მომზადების გამო. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა გამოყენებული ვაზიანის აეროდრომი საბრძოლო ოპერაციებისათვის ჩეჩნეთის წინააღმდეგ და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ სანამ საქართველოში რუსეთის შეიარაღებული ძალები დგას, საქართველო თავისდაუნებურად შეიძლება აღმოჩნდეს აგრესიის ბაზა მესამე ქვეყნის წინააღმდეგ და, მაშასადამე, დარტყმის ობიექტიც მესამე ქვეყნის (ქვეყნების) მხრიდან.

**მესამე.** დღეს რომ საქართველო ყოფილ სოციალისტურ ეკონომიკათა მიზანდასახული ნგრევის პროცესშია ჩართული, ყველამ იცის. ამ პროცესში რომ წარმმართველია სწორედ ნეგატიური მხარე, ანუ მანამდე სახელმწიფოებრივად მართული ეკონომიკის ნულზე დაყვანა, და არა ახალი თავისუფალი ეკონომიკის შენება, ესეც ეჭვს არ იწვევს (რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა ახალი სტიქიური და ამავე დროს სახელმწიფოს მიერ კანონმდებლურად და ადმინისტრაციულად ხელშეწყობილი საბაზრო ეკონომიკის ზრდა არსებული ეკონომიკური ორგანიზაციის *პარალელურად*, და არა მის ნაცვლად, და პირველი უკვე დიდი ხნის გამარჯვებული იქნებოდა მეორეზე). სსრკ-ს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დასაშლელად გამიზნულმა მრავალსვლიანმა პროგრამამ – შეიძლება ითქვას, კაცობრიობის ხსნის ამ ჰუმანისტურმა პროგრამამ – წარმატებით იმუშავა და დღესაც მუშაობს. უფრო ზუსტად: დღეს მიმდინარეობს გადამწყვეტი ბრძოლები მისი რეალიზაციისთვის, რომელიც, ალბათ, რუსეთში ამ კომპლექსის ფინანსური გამოფიტვით და მისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური სტაგნაციით დამთავრდება. მაგრამ რატომ უნდა იყოს ამ პროცესში ჩართული საქართველოც, რომელიც მსოფლიოში არავისთვის არავითარ ხიფათს არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს? იმიტომ – და *მხოლოდ* იმიტომ – რომ საქართველო თავისი გლობალური პოლიტიკით დღეს მიბმულია რუსეთის ჯერ კიდევ აგრესიული სულისკვეთებით გამსჭვალული სახელმწიფოს სამხედრო მანქანაზე, *იგი „ესენგეს" შემადგენლობაშია და მასში რუსეთის შეიარაღებული ძალები დგას.* ამ ფაქტს ვერ გადაწონის ვერც ის, რომ რუსეთის ეს შეიარაღებული ძალები დღეს გლობალური მასშტაბისა არ არიან (ისინი შეიძლება გლობალური მასშტაბისანი გახდნენ) და ვერც ის, რომ ამა თუ იმ სუპერპროექტთან მიმართებაში საქართველო დასავლეთის მხარეზე დგას (ეკონომიკური სუპერპროექტები მოკლევადიანია„ მეოცავე-იმპერიალისტური" კი – მრავალსაუკუნოვანი). საქართველოში დღეს ბევრს ესმის, რომ რუსეთის სამხედრო ორბიტში ყოფნა საქართველოსთვის დამღუპველია პოლიტიკურად, მაგრამ მდგომარეობის ეს მხარე რომ *პირდაპირ კავშირშია საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობასთან*, ეს ჯერ კიდევ განმარტებას საჭიროებს.

საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნებთან, რომლებსაც ზეგანვითარებული დასავლეთის ქვეყნები კეთილგანწყობით ეკიდებიან, მათ, სქემატურად რომ ვთქვათ, ორი სხვადასხვა მიდგომა აქვთ. *ერთი* გულისხმობს, რომ ქვეყანა, რომელსაც სიკეთეს უსურვებენ, პოლიტიკისა და გეოსტრატეგიის მხოლოდ ობიექტია, საკუთარ ნებასა და ძალისხმევის უნარს მოკლებული, და გლობალური თუ რეგიონული დაპირისპირების პროცესში მას თავისი წვლილი არ შეაქვს ან ვერ შეაქვს. ასეთი ქვეყანა, კეთილმსურველთა თვალში, მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ტრიალი მინდვრის სტატუსთან, სადაც დაუბრკოლებლად მოძრაობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კაპიტალი და საჭიროების შემთხვევაში – ჯავშანტექნიკა. ბუნებრივია, რომ ასეთ ქვეყანას მკაცრად მოეთხოვება ყველა იმ ფორმულირებული თუ ჯერ დაუფორმულირებელი და მხოლოდ მინიშნებული ნორმის მიყოლა თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომლებიც საკუთარი ისტორიულმასშტაბიანი ეროვნული ინტერესების შეზღუდვას მოითხოვენ. მეორე გულისხმობს, რომ ეს ქვეყანა გლობალური ან რეგიონული პოლიტიკის სუბიექტიცაა, და არა მხოლოდ ობიექტი, და მას ფუნდამენტური თანამშრომლობა ზეგანვითარებულ და დღეს ყოვლისშემძლე დასავლეთთან იმიტომ აქვს და ჰსურს, რომ ამას მისი ასევე ფუნდამენტური ეროვნული ინტერესები მოითხოვს. ასეთი სახელმწიფო მის კეთილმსურველებს ტრიალ მინდვრად კი არ უნდათ, არამედ შეუვალ ციხე-სიმაგრედ, ბელადად, სამჭედლოდ. მას – და *მხოლოდ* მას – თვლიან მოკავშირედ და არა კმაყოფაზე მყოფად. მხოლოდ მას ეხმარებიან არა მხოლოდ ეროვნული ფულის გამაგრებაში, არამედ წარმოების განვითარებაშიც, ტექნოლოგიურ წინსვლაშიც, ფუნდამენტური მეცნიერების გაძლიერებაშიც და სამხედრო მშენებლობაშიც (მაგალითები შეგნებულად არ მომყავს). საქართველო, რომელიც იურიდიულად, პოლიტიკურად, მილიტარულად და იდეოლოგიურად რუსეთის „სტრატეგიული მოკავშირეა", *ზეგანვითარებული დასავლეთის მოკავშირე ვერ იქნება.* მაშასადამე, ტრაგიკული ალტერნატივაც: „რა გვირჩევნია – მსოფლიო ბანკს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს ჩვენი ლარი გამაგრებინოთ თუ ვიმუშაოთ ჩვენს მიწაზე, რათა თავის რჩენა შევძლოთ?" ჩვენთვის კვლავ ძალაში იქნება.

ამ მსჯელობის ფონზე განსაკუთრებული სიმწვავით იკვეთება საკითხი „როგორ გავიყვანოთ რუსები საქართველოდან *პრაქტიკულად?*" და „ჩვენი მოთხოვნა კმარა, რომ ისინი გავიდნენ?". ეს საკითხი *ყალბი* საკითხია. არც ერთ სახელმწიფოს, მათ შორის – არც რუსეთს არ შეუძლია დღეს შეიარაღებული ძალებში იყოლიოს გაეროს წევრი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ ამისთვის იმ მეორე სახელმწიფოს თანხმობა *არა აქვს.* საქართველოში რუსეთის ჯარების ყოფნას არანაირი იურიდიული საფუძველი არა აქვს, ხოლო საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს იურიდიული საფუძველი, რათა რუსეთის ჯარებს საქართველოდან გასვლა დღესვე მოსთხოვოს, საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 1 ივნისის დადგენილების სახით. არა გადამწყვეტი, მაგრამ არსებითი ფაქტორი ამ ოპერაციის დროული და წარმატებული დაგეგმვებისთვის არის, სხვათა შორის, იმ ადამიანის პიროვნებაც, ვისაც საქართველო ალჭურავს თავისი წარმომადგენლობის რწმუნებით გაეროში (დღეს ვის აბარია ეს ფუნქცია, საზოგადოებამ იცის).

# „...ამ გზაზე ჯიხვებივით მიდიან"

13 დეკემბერს სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის" საზოგადოებამ მიმდინარე წლის შემაჯამებელი კონფერენცია გამართა, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული საზოგადოების 50-მდე წევრი ესწრებოდა.

კონფერენციაზე განიხილეს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური სიტუაცია. ითქვა, რომ დღევანდელი ნეოკომუნისტური ხელისუფლება ეროვნულ ძალებს მომავალ არჩევნებში კვლავ არ მისცემს გამარჯვების საშუალებას, რადგან კომუნისტებს საარჩევნო კანონისა და კონსტიტუციის მოთხოვნების შესრულება საერთოდ არასოდეს ჩვეოდათ. აქედან გამომდინარე ასკვნიან, რომ მათი გამარჯვება მომავალ არჩევნებში წინა არჩევნების მსგავსად ნულის ტოლი იქნება. ამიტომ მათ ერთადერთ გზად კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლა მიაჩნიათ და საზოგადოების გამგეობის წევრის, გია ჩხიკვაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ამ გზაზე ჯიხვებივით მიდიან". კონფერენციაზე მიიღეს სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის საზოგადოების რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი ემიჯნებიან ყველა ფსევდოეროვნულ ძალას, რომლებიც მიზნად ისახავენ უკანონო ხელისუფლების დაკანონებას და მისთვის კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის გადაცემას. მოუწოდებენ საქართველოში მოქმედ ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციას, მოითხოვონ და აქტიურად იმოქმედონ ქვეყანაში კანონიერების აღდგენისათვის, რაც, მათი აზრით, გახდება წინაპირობა საყოველთაო-ეროვნული შერიგებისა.

ეკა ბახუტაშვილი, გეა

# „ვერავინ გამიბედავდა მსგავსი პოსტის შეთავაზებას"

**ჩეჩნეთის** რესპუბლიკა – იჩქერიას პრეზიდენტის ასლან მასხადოვის მრჩეველმა საგანგებო დავალებებში რუსლან კუტაევმა „იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში კატეგორიულად უარყო საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს იგი დანიშნულია ჩეჩნეთის პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლად აფხაზეთში. რ.კუტაევმა „იფრინდა"-ს განუცხადა, რომ მას „ვერავინ გაუბედავდა მსგავსი პოსტის შეთავაზებას", რადგან კარგი ურთიერთობები აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან.

გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად რ.კუტაევი სოხუმში იმყოფებოდა და 10 დეკემბერს დახურულ კარს მიღმა ორსაათიანი შეხვედრა ჰქონდა აფხაზთა ლიდერთან ვ.არძინბასთან.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის მრჩეველი თვლის, რომ მსგავსი ინფორმაცია მიზნად ისახავს პირადად მისი, ჩეჩენთა და ქართველთა დისკრედიტაციას. (იფრინდა)

# სამაჩაბლოს სამკვიდროს საბჭო აცხადებს...

**სამაჩაბლოს** სამკვიდროს საბჭოს თავმჯდომარემ გელა გელაძემ „იფრინდა"-ს კორესპონდენტთან საუბარში უკმაყოფილება გამოთქვა მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებების მიერ ბოლო დროს ტერმინის – „სამხრეთ ოსეთი" გამოყენების გამო, ნაცვლად ტერმინისა „სამაჩაბლო".

გ.გელაძე ანტიიურიდიულ ქმედებად მიიჩნევს ტერმინის „სამხრეთ ოსეთი" გამოყენებას, რომელსაც მისივე თქმით, ყველაზე ხშირად საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, ტელეკომპანია „რუსთავი-2", სააგენტო „პრაიმ-ნიუსი", გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" იყენებს.

„შიდა ქართლის ტერიტორიაზე ნებისმიერი რანგის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დაფუძნება (აღდგენა) სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელსაც დაუყოვნებლივ მოჰყვება ადეკვატური რეაქცია" – განუცხადა „იფრინდა"-ს გელა გელაძემ. (იფრინდა)

# ისევ რადიაცია?

**როგორც** გეა-ს კორესპონდენტს თავდაცვის სამინისტროს რადიაციული, ბიოლოგიური და ქიმიური დაცვის სამმართველოდან აცნობეს, ადიგენის რაიონის ერთ-ერთ სოფელში (გარკვეული მიზეზების გამო სოფელი არ იქნა დასახელებული) მკვეთრად იმატა სისხლის გათეთრებითა და კიბოთი დაავადებულთა რიცხვმა.

გეა-ს კორესპონდენტი არ გამორიცხავს, რომ დაავადებები გაზრდილი რადიაციული ფონითაა გამოწვეული. მითუმეტეს, რომ სოფლიდან 16 კმ-ზე რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო ჯარების ნაწილი იყო წლების მანძილზე განლაგებული. (გეა)

# შემოწმდება ყველა სამხედრო ნაწილი

**როგორც** გეა-ს კორესპონდენტს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რადიაციული, ბიოლოგიური და ქიმიური დაცვის სამმართველოში აცნობეს, აღნიშნული სამმართველოს სადაზვერვო ჯგუფი ახალციხის რაიონში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს ეწვევა, აღნიშნულ ტერიტორიებზე რადიაციათა წყაროების (თუ ასეთი არსებობს) გამოსავლენად.

სამმართველოს თანამშრომლის ცნობით, ასეთივე გამოკვლევები მიმდინარეობს ამჟამად ვაზიანის ტერიტორიაზე, სადაც ამ ორი კვირის წინ აღმოჩენილი იყო რადიაციის საზომი ხელსაწყოს გრადუირებისათვის საჭირო რადიაციული კაფსულა. ინფორმაციის იმავე წყაროს ცნობით, მსგავსი შემოწმებები ჩატარდება ყველა სამხედრო ნაწილში და მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიებზე. (გეა)

# საქართველოს თავდაცვის მინისტრი მოსკოვიდან საბერძნეთს გაემგზავრება

„**საქართველოს** თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტის ვარდიკო ნადიბაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, იგი თავს კარგად გრძნობს" – განუცხადეს გუშინ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსი"-ს კორესპონდენტს. მომავალ კვირას გენერალმა ვარდიკო ნადიბაიძემ საბერძნეთში ვიზიტიც კი დაგეგმა. ათენში იგი საბერძნეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდება და იქიდან თბილისს გამოემგზავრება. მანამდე კი, მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრთან მარშალ იგორ სერგეევთან შეხვედრა და მოლაპარაკებებია გათვალისწინებული – უთხრეს საინფორმაციო სააგენტო „ელიზი-ნიუსი"-ს კორესპონდენტს. (ელიზი-ნიუსი)

# პრესა ერთ მუშტად უნდა შეიკრას, ყოველ შემთხვევაში, მამათმავლობის პროპაგანდისტების წინააღმდეგ მაინც!.

ჯერჯერობით დაველოდები რას იტყვიან ჩემი კოლეგები "ასავალ-დასავალიდან" და მათ შესახებ მსჯელობას გადავდებ"- ამ ერთი ფრაზით გამოვხატე გაზეთ "საქართველოს" წინა ნომერში ის გაოცება, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ გაზეთ "საქართველოს" მიერ ნაკაცარების წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლის საპირისპირო მასალები გამოქვეყნდა გაზეთ "ასავალ-დასავალში".

კოლეგებმა გამოხმაურება მართლაც არ დააგვიანეს და ჩემთან ომს მშვიდობიანი თანაარსებობა არჩიეს, უფრო მეტიც, შემპირდნენ, რომ ყოველგვარ უზნეობასთან ბრძოლაში გაზეთ "საქართველოს" გვერდით იდგებიან.

ეს კარგია!

როცა სამართლიან ბრძოლაში კოლეგები არ აგყვებიან-

ეს ცუდია!

პრესა ერთ მუშტად უნდა შეიკრას, ყოველ შემთხვევაში, მამათმავლობის პროპაგანდისტების წინააღმდეგ მაინც.

დააკვირდით, მკითხველო, ვინ რა პოზიციაზე დადგება, ამის მიხედვით ჩემი წაშველების გარეშეც არ გაგიჭირდებათ გამოიტანოთ დასკვნა, ვინ ვინ არის ამ დამოუკიდებელი პრესის კორიანტელში...

„საქართველო"-ს რედაქტორი

## გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქცია თვლიდა და თვლის, რომ გაზეთმა „საქართველომ" და მისმა რედაქტორმა, ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა გაბედული, ფრიად საჭირო და დროული ნაბიჯი გადადგეს 1975 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილი წერილის - „თანამედროვე ბალთაზარ კოსა" - გამოქვეყნებით (გაზ. „საქართველო", №111, 112). „ასავალ-დასავალმა" ჟურნალისტური კოლეგიალობით მხარი აუბა „საქართველოს" - დიახ. ქვეყანამ უნდა გაიგოს (იხ. „ასავალ-დასავალი" №50) ვინ ვინ არის!

„ასავალ-დასავალის" რედაქცია (არ სურს რა, არასწორად იქნას ინტერპრეტირებული) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი მომავალშიც მხარს დაუჭერს „საქართველოს" წამოწყებას, რაც არა მარტო კოლეგიალურ-ჟურნალისტური თანადგომა, არამედ ქვეყნისათვის ფრიად სასარგებლო საქმეც იქნება.

პატივისცემით „ასავალ-დასავალის" რედაქცია

# საქართველო

## სატანა ეკლესიისკენაც იწევს?!



## ზვიად გამსახურდიას მიერ ცეკაში გაგზავნილი დღემდე გამოუქვეყნებელი წერილი მამათმავლობის წინააღმდეგ «თანამედროვე ბალთაზარ კოსა»

მესამე გვერდი

## მიტროპოლიტყოფილი დედას იგინება



# ასავალ დასავალი

1997 წლის 9 - 15 დეკემბერი № 50 (174) ფასი 50 თეთრი

## გარდაცვლილი პატრიარქის შვილიშვილი ამხელს





## პატივაყრილი მიტროპოლიტის - გაიოზ კერატიშვილის წერილი, რომელიც 18 წლის მანძილზე ელოდა დღის სინათლეს!



# ამბობენ, ცისფერებმა პარლამენტში ოფიციალური წევრიც კი მოისურვესო...

როდესაც ამაზრზენი მანერით გაიგებთ რადიოდან ახალგაზრდა ქალის ხმას – „სასიამოვნოა ისმენდე სიმღერებს სექსზე და ყოველ თავმომწონე, თავმოყვარე ადამიანს არ უნდა აინტერესებდეს სხვისი აზრი ამის შესახებ"...

ვიღაც უკვე გეგმავს და ხედავს კიდეც „ცისფერ კაფეებს, რესტორნებს, კლუბებს. ამბობენ, პარლამენტში ოფიციალური წევრიც კი მოისურვესო". რაღა დასამალია და, საქართველო კი არა, – ტეხასის შტატი წარმომიდგა თვალწინ. ეს ისე, სხვათა გეგმებში თუ ჩავიხედავთ, მაგრამ ჩვენ აღარ გვეკითხებით, როგორ გვესმის ცივილიზაცია და კულტურა?

ცივილიზაცია კულტურის ნაყოფია და თუ კულტურა იკარგება, ეს უკვე ცივილიზაცია კი აღარაა, არამედ არნახული სულიერი სიმდაბლე. ცივილიზაცია, როგორც კაცობრიობის განვითარების შედეგი, უპირველეს ყოვლისა, კულტურული ფენომენია და მიზანი ისტორიისა. და ჩვენ კი ის, რაც დღეს ცივილიზაციის სახით თავს უნდა მოგვახვიონ, სხვა არაფერია, თუ არა XX საუკუნის სულიერი გარყვნილების ეპიდემია. ამ ეპიდემიის მატარებელი კერები ყოველთვის არსებობდა და დღეს კი უკვე გადმოიღვარა ნაღვლი სისხლში. დიახ, სისხლში იმიტომ, რომ თუ ერთ შემთხვევაში ასეთ მოვლენას „ბოტკინი" ჰქვია, ჩვენს შემთხვევაში სისხლი „გაცისფრდა", და ეს უკვე საშიში სნეულება – XX საუკუნის გიგანტურ ეპიდემიად გარდაიქცა ისე, რომ არც ერთ ექიმს აზრადაც არ მოსდის გამოაცხადოს ჰომოსექსუალიზმი სნეულებად და ამ სნეულების ეპიდემიის მკურნალობის მეთოდიკის შემუშავების საკითხი დასვას. და სანამ ეს მოხდება, ისე, როგორც XIV საუკუნის შავი ჭირის პანდემიის დროს, კარანტინები მოაწყონ. 25 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა აღნიშნულმა ეპიდემიამ მაშინდელ ევროპაში, – ეს თითქმის ნახევარი მოსახლეობა იყო. ახლა ეს გამოუცნობი სულიერი და ხორციელი სნეულება კაცობრიობას უპირებს წალეკვას. გადარჩა კაცობრიობა XIV საუკუნის შავი ჭირის, ქოლერის, ყვავილის, ციმბირის წყლულისა და სხვათა ეპიდემიებისაგან არა მკურნალობის მეშვეობით, რადგან მაშინ არ იცოდნენ სულფანილამიდებისა და ანტიბიოტიკების პრეპარატები, – ეს მერე აღმოაჩინეს, – არამედ ჰიგიენისტების ძალისხმევის მეშვეობით. დღეს ვიდრე ჰომოსექსუალისტების სამკურნალო საშუალებანი შეიქმნება, საჭიროა „ჰიგიენისტების", – ანუ ინტელიგენციის, ხელოვნების, კულტურულ-ეთიკისა და ესთეტიკის, ფილოსოფიის, სოციოლოგების საზოგადოებრივი აზრის სახით იმ ბარიერების შექმნა, რომლებიც აღაგმავენ აღვირახსნილ ურცხვ პროპაგანდას ზნეობის დაცემისაკენ.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ეს საშიშროება არ გვემუქრება. [illegible] შეცდეთ. საშიშროება იმდენად დიდია, რომ დიდი ადამიანები ყოველთვის მიმალულ კერებს ამხილებდნენ, რათა სენი კერაშივე ჩაეხშოთ. ასეთი „სანიტარი" იყო ბატონი ზვიად გამსახურდია, რომელიც, თუ გავიხსენებთ, რომ სუკის პირობებში სიგიჟის ნემსიდან ავტოკატასტროფამდე მას ყველაფერი ელოდებოდა, არნახული სიმამაცით ამხელს საქართველოში მამათმავლობის კერას. მაგრამ ცხონებული პრეზიდენტის ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, არავინ შეისმინა და დღეს მეორე ადამიანი, დიდი მოქალაქე, გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი იმაღლებს ხმას და ნუ დავტოვებთ მას მარტო.

მე, ბატონო ნოდარ, – თამაზ თავაძე თქვენს გვერდით ვდგევარ. ჩემს ზურგს უკან ჩვენი საზოგადოების 200 წევრი და ჩვენი გაზეთის 10000-მდე მკითხველი დგას.

ეხლა რაც შეეხება იმას, რომ ჰომოსექსუალიზმი სნეულებაა. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ ვენერიული სნეულებით დაავადებული ადამიანები მალავენ თავის სნეულებას, და მათ ჯერ კლუბები და დეპუტატები პარლამენტში არ მოუთხოვიათ. მაგრამ ჰომოსექსუალიზმის ვირუსი, – სპიდის სნეულების მომტანი მკრთალ სპიროქეტზე განუსაზღვრელად უფრო საშიშია და ექიმები კი სდუმან.

ესე იგი, ცნობიერებაში ყოფილა საქმე. ჩვენს ცნობიერებაში ცდილობენ ჩადონ იდეა, რომ ჰომოსექსუალიზმი სოციალური მოვლენაა ან უფრო მეტიც, – ცივილიზაციის ნიშანი. ამ იდეაზე წამოგებული ნიბელუნგებისა და ვიკინგების ქვეყნები „გაცისფრდნენ" და ჩვენს კავკასიურ რასას ესაჭიროება სიფრთხილე, თორემ თუ სენი გავრცელდა... არა და, ნიადაგი დღენიადაგ მზადდება: ამდაბლებენ და ამდაბლებენ ახალგაზრდობის ცნობიერებას. დიახ, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ამ სნეულების ძირითადი სიმპტომი მდაბალი ცნობიერებაა ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიისათვის, – ეს სიტყვები ექიმ-ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრებისთვისაა, – სავსებით გასაგებია, რომ წარმოსახვის უნარი გონებისაგან იმართება და მდაბალი ცნობიერება ვერ ერევა გონების წარმოსახვის უნარს, როდესაც იგი გაექცევა ადამიანს. ადამიანის წარმოსახვის უნარი ბობოქრობს და უსასრულო ვარდნისაკენ მიაქანებს პატრონს. მაღალი ცნობიერება იოლად ერკვევა, თუ რა ხასიათის მოვლენა დევს გონების წარმოსახვის უნარით მოტანილ წარმოდგენაში და ეთიკურ თუ კულტურულ, ან კიდევ მეცნიერულ ელემენტებს მოკლებულ წარმოსახვაზე უარს ამბობს და გონებას სხვა დატვირთვას აძლევს. მდაბალ ცნობიერებას არ შესწევს უნარი გააანალიზოს მიდრეკილება, რომლისკენაც მისი წარმოსახვა მიუბიძგებს მას და ტკბობის ცხოველურ მორევში მიექანება.

საჭიროა ფართო კულტურულ-ესთეტური პროპაგანდის დაპირისპირება ტელევიზიითა და პრესით, რადგან მათ წინააღმდეგ ბრძოლა არა ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობაა, არამედ სამედიცინო სამსახურისა და კულტურის სამინისტროს პრობლემაა.

დიდი თაგორი ამბობდა:

მწამს, რომ კაცობრიობის ყველა პრობლემამ აღზრდაში უნდა ჰპოვოს გადაწყვეტა.

ჩვენ უნდა აღვზარდოთ ბავშვობიდანვე თაობა სულიერი ჰიგიენის ცოდნით და ეს დაიცავს მომავალს ისე, როგორც საპონი გვიცავს დღეს ხელებიდან მოსალოდნელი უამრავი უბედურებისაგან.

*თამაზ თავაძე, ალექსანდრე ბარბაქაძე, ედუარდ მირზაშვილი, გულნარა გოგეშვილი, ნატალია მიმინოშვილი, ვენერა ხათაშვილი, ნანა შუშაბერიძე, გიორგი ძულიაშვილი, ვიოლეტა ცაგუტაშვილი, ტაისა ქეშელაშვილი, ციური ჯიქაიძე, ლარა რევიშვილი, ნინო გალუსტოვა, ირმა სულაქველიძე, გიორგი არაბული, ელენე ტომასიანი, მზია ალადაშვილი, ანა ალადაშვილი, ლია გოზალიშვილი, დოდო ოქროშიძე, მიხეილ ზანდუკელი, ნანა ბიგაური, გოჩა არჩილია, ნინო რუსაძე, იურა ლაევი, ბალამფარაშვილი, დ.გოგატიშვილი*

## რუსული პრესის მიხედვით...

საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტს, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ შედგა, რუსეთის პრესამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. რუსმა მიმომხილველებმა ვიზიტის მიზანი და შედეგები თავისებურად ახსნეს, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობისთვისაც საყურადღებო უნდა იყოს.

გაზეთ „სეგოდნიას" ინფორმაციით, თბილისში რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერ ვალერი სეროვსა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შორის ჩატარებული მოლაპარაკებების დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება დარიალის ხეობაში. სადავო მონაკვეთზე რუსი და ქართველი მესაზღვრეების საწყის ადგილებზე დაბრუნების თაობაზე როგორც გაზეთშია აღნიშნული, მოსკოვმა ფაქტიურად დეზავუირება გაუკეთა თავის მოქმედებებს საქართველოს მიმართულებით 1380 მეტრზე ზემო ლარსის სასაზღვრო საგუშაგოს გადმოწევის თაობაზე, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ე.წ. „სპირტის კრიზისის" დროს „საზღვარზე შექმნილი სიტუაციის მოსაწესრიგებლად და სასაზღვრო ტერმინალის ასაშენებლად".

„სეგოდნიას" ცნობით, თბილისში მიღწეულმა შეთანხმებამ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელობის მხრიდან სწრაფი და მკვეთრი რეაქცია გამოიწვია. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრ მანილოვის თქმით, სასაზღვრო სამსახური დარიალის ხეობაში რუსეთის სასაზღვრო საგუშაგოს საწყის ადგილზე დაბრუნების წინააღმდეგია. „ჩვენ რუსეთის ტერიტორიაზე ვიმყოფებით და კანონთან შესაბამისობაში სახელმწიფო საზღვარს ვიცავთ" - აღნიშნა გენერალმა. მანილოვის თქმით, საქართველო ცალმხრივად ცდილობს საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში - 1991 წლის 21 დეკემბერს დაფიქსირებული რუსეთ-საქართველოს საზღვრის მდგომარეობის გადასინჯვას. თვით ვალერი სეროვი კი თვლის, რომ საქართველოში ვიზიტის დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების არსებითი გაუმჯობესება გახდა შესაძლებელი. ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე კი ორივე მხარემ აღნიშნა, რომ მიღწეულია შეთანხმება ორმხრივი სამუშაო კომისიის შეთანხმების შესახებ და ამ კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა საზღვრის დელიმიტაციის და დემარკაციის შესახებ.

რუსეთის სასაზღვრო საგუშაგოს საწყის ადგილზე დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება ვალერი სეროვმა თბილისში პრეზიდენტ შევარდნაძესთან გამართული კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ მიიღო. რა არგუმენტებით შეძლო შევარდნაძემ სეროვის დარწმუნება, „სეგოდნიას" მიმომხილველმა ამის გარკვევა ვერ შეძლო. გაზეთის ინფორმაციით, ასეთი საკითხები ერთობლივი სამუშაო კომისიის კომპეტენციაში შედის, ხოლო ამ კომისიას მუშაობა ჯერ არც დაუწყია.

როგორც „სეგოდნიას" მიაჩნია, მოსკოვის ემისრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოტივი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა მთელი ძალებით უნდა დაუჭიროს მხარი ედუარდ შევარდნაძის მთავრობას, რომელიც კავკასიაში რუსეთის დასაყრდენად ითვლება. თუმცა, ამავე დროს, გათვალისწინებული არ არის ის ფაქტორი, რომ საქართველოში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებამდე მხოლოდ ორი წელი დარჩა და წინასაარჩევნო კამპანია უკვე ძალებს იკრებს. გაზეთის აზრით, შევარდნაძის „გუნდი" თავის ამჟამინდელ პოზიციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ დარჩენილი ორი წლის განმავლობაში შეძლებს იმის გაკეთებას, რაც გასული ექვსი წლის განმავლობაში არ მოხერხდა, ანუ თუ აღდგება საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" და მნიშვნელოვნად ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. როგორც „სეგოდნია" აღნიშნავს, გალატაკებული „ცხინვალის" ნების გატეხა სავსებით რეალურია, მაგრამ შესაძლოა „სამხრეთ ოსეთის" დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში შევარდნაძის ადმინისტრაციის ერთადერთი მიღწევა აღმოჩნდეს. „მაგრამ საქართველოს სპეციფიკურ პირობებში ეს ალბათ საკმარისი არ იქნება" - აღნიშნავს გაზეთი.

იოსებ ზაჩიძე, ბეა

# მთავარ მესაზღვრეს საზღვარი სულაც ფეხებზე ჰკიდია — აცხადებს სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი



1997 წლის 22 ნოემბერს გაზეთ „რეზონანსში" დაიბეჭდა სტატია, რომელიც საზღვრის 500 მეტრით გადმოწევას შეეხებოდა, თან დართული ჰქონდა სამარცხვინო კარიკატურა, სადაც რუსი მესაზღვრე საქართველოს ტერიტორიიდან კინწისკვრით (პანჩურით) აგდებს ქართველ მესაზღვრეს, რომელიც ეხვეწება „მაცა, მაცა, მე თვითონ რაცა, წავალო". „მადა ჭამაში მოდისო" და რუსებმა ჩვენი ქართველი მესაზღვრეების პასიურობას რომ შეხედეს, 1300 მეტრით გადმოიწიეს, რამაც ყაზბეგის მოსახლეობის და მთელი საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. ატყდა განგაში-რადიო, ტელევიზია, პრესა, მაგრამ ის, ვისაც პირველს უნდა გაელო ხმა და მიეღო ზომები-საქართველოს სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტი, დუმდა!

პირველი, ვინც ხმა აიმაღლა ამ საკითხთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო იყო! ამ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრის მოადგილე მ.კაკაბაძე „ალიას" კორესპონდენტთან ინტერვიუში არ ფარავს აღშფოთებას და ამბობს: „რუსი მესაზღვრეების მიერ საზღვრის გადმოწევა ლარსის ხეობაში საერთაშორისო ნორმის დარღვევაა, და თუ ჩვენ ამას დროზე არ მივხედეთ, საზღვარი თბილისს მოადგებაო".

მე, როგორც პროფესიონალ მესაზღვრეს, რომელმაც სასაზღვრო ჯარებს შეალიე ახალგაზრდობა და ჩემი ჯანმრთელობა, ამ ამბავმა გული მატკინა. ამ საკითხზე თუ ვინმეს უნდა გაელო ხმა, პირველი უნდა ყოფილიყო სასაზღვრო ჯარები, მესაზღვრეები, რომელთა ვალი სამშობლოს საზღვრის დაცვაა. სასაზღვრო ჯარების მეთაურმა ვ.ჩხეიძემ ტელევიზიით გამოსვლის დროს ჯერ იყო და ვერც ერთ საკითხს ამომწურავად ვერ უპასუხა, მერე საზღვარი სად უნდა იყოს, ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეაო. მისმა ასეთმა უტიფარმა გამოსვლამ ამაღელვა და გავიხსენე ჩემი მივლინების ამბავი 1996 წლის სექტემბერში. მე და პოლკოვნიკი ინასარიძე მივლინებული ვიყავით ყაზბეგის რაიონის ლარსის ხეობაში რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ავტოტრანსპორტის შეგროვებასთან დაკავშირებით. საგუშაგოს უფროსის თხოვნით ყაზბეგის რაიონის გამგეობის წარმომადგენელთან ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის უფროსის მოადგილე მაიორ ნოზაძესთან ერთად შევამოწმეთ ადგილზე ყველაფერი, ვნახეთ ადმინისტრაციული საზღვარი და საქართველოს რუკებიც და გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ჩვენი საკონტროლო-გამშვები პუნქტის შლაგბაუმი უნდა წაწეულიყო წინ 2000 მ-ით, რადგან იყო მოსახერხებელი ადგილი შლაგბაუმისათვის და იყო ჩვენი ტერიტორია, გამოვიტანეთ დასკვნა. დავწერეთ წერილობით პატაკი და ჩავაბარეთ ვ.ჩხეიძეს და თან სიტყვიერად დავუმატეთ და ვუთხარით ვ.ჩხეიძეს, რომ ვინაიდან მოსახერხებელი ადგილი იყო შლაგბაუმისათვის, ჩვენ სასწრაფოდ უნდა წავწეულიყავით წინ, რათა ჩვენი პასიურობით არ ესარგებლა რუსის მესაზღვრეებს, რაზეც მან მედიდურად გადმომხედა და ირონიით ჩაიცინა. მაშინ მე ვერ გავიგე, რა ჰქონდა გულში, დღეს კი მაგონდება, რომ მან ეს ტერიტორია ძეგნებულად დაუთმო რუსებს! აბა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რომ მესაზღვრეს ევალება საზღვრის დაცვა და არ აკეთებს. ყველასათვის მაინც გაუგებარია და საინტერესოა კითხვები:

1. როგორ მოხდა საზღვრის გადმოწევა?
2. რატომ მაშინვე არ მოხდა მესაზღვრეების რეაგირება?
3. სიტყვით დაითანხმეს? ესროლეს? დახოცეს?

მესაზღვრე ხომ ვალდებულია ან დააკავოს, ან ცეცხლი გაუხსნას საზღვრის დამრღვევს, რაც ჩვენმა მესაზღვრეებმა არ გააკეთეს, მათ პასუხი უნდა აგონ, პასუხი უნდა აგოს მათმა მეთაურმა ვ.ჩხეიძემ, ვინაიდან იგი სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის გარანტია, მაგრამ პასუხი არც მესაზღვრეებს და არც ვ.ჩხეიძეს არავინ არ მოსთხოვა, არც პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ და ჩიტაიამ, არც უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ, ისინი ალბათ იმიტომ დადუმდნენ, რომ ჩხეიძე როგორც აცხადებს „ესენი მაგის მეგობრები არიან და ფეხებს ვერავინ ვერ მომჭამსო", და ეტყობა ადამიამ, ჩიტაიამ და საჯაიამ მეგობარს ვერ უღალატეს და საქართველოს ტერიტორია და მისი საზღვარი ფეხებზე დაიკიდეს!

ბ-ნ ნ.ნათაძე გაზეთ „საქართველოში" წერს, რომ ვ.ჩხეიძე კარგა ხნის გასამართლებული უნდა იყვეს ტრიბუნალის მიერ ქართველი მესაზღვრეების, ლარსის საგუშაგოდან უკან დახევის გამო", მაგრამ მას პასუხს არავინ არ თხოვს, ჩვენ, ნამდვილი მესაზღვრეები, მადლობას ვუხდით მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდულ კავშირს, მის ყველა წევრს და მის მეთაურს ბ-ნ ლ.ალავიძეს, მათ თავდადებას, სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს. მათმა აქციამ შედეგი გამოიღო, ბ-ნ სეროვმა და ბ-ნ ლეკიშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, სადაც ყველა დადგება იქ, სადაც საჭიროა, მე თავს ვხრი თქვენს წინაშე ახალგაზრდებო! თუმცა გამიკვირდა, მეორე დღეს გაბღენძილი ვ.ჩხეიძე რომ დავინახე და ვითომ კომენტარი გაუკეთა, ნუთუ იგი ფიქრობს, რომ რამე წვლილი აქვს მაგ საქმეში"... მაგას რომ რამე გაეკეთებინა, მაშინ როდესაც 500 მ-ით გადმოიწიეს, არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა დეკემბრის დასაწყისში, მაგრამ ვინ თხოვს მაგას პასუხს, ვინ? ა/წ ნოემბრის თვეში წავიკითხე „ალიაში" უშიშროების ყოფილი ხელმძღვანელის გ.ა.მაისურაძის წერილი, სადაც იგი წერს, რომ „ყველას ჰგონია, რომ უშიშროების თანამშრომლები მეომრები არიან, სინამდვილეში კი ჩვენ კალმისტრის მეომრები ვართ". ვაი, რომ ვ.ჩხეიძე არც კალმისტრის მეომარი აღმოჩნდა, თორემ რუსებს კალმისტრით მაინც შეაშინებდა, არ დაეთმო 500 მეტრი, არც 1300 მეტრს დაუთმობდა, მაგრამ ვ.ჩხეიძეს არც საქართველოს საზღვარი აინტერესებს და არც სასაზღვრო ჯარები. მისი მოსვლის შემდეგ დაინგრა და განადგურდა საზღვარიც და ჯარიც, არის თვითმკვლელობა, ქურდობა, ეკონომიურად და მორალურად გაპარტახდა სასაზღვრო ჯარები. სახელმწიფო საზღვრიდან იწყება და ამიტომ საჭიროა საზღვარი იყოს სუფთა და წესრიგში, რომ სახელმწიფო სიკარგე საზღვრიდან იწყება, არ იქნება წესრიგი სასაზღვრო ჯარში, არ იქნება წესრიგი სახელმწიფოში. ამას შეგნებულად ვაცხადებ. ბ-ნ პრეზიდენტის დუმილი გასაკვირია ჩხეიძის მიმართ. ნუთუ არაფერზე პასუხი არ უნდა მოთხოვოს.

როდესაც გ.ჩხეიძემ ხევსურეთში, ჩეჩნეთის საზღვარზე დააყენა რუსის მესაზღვრეები, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩეჩნებში, რასაც შეეძლო ომი გამოეწვია ორ სახელმწიფოს შორის, და მაშინაც როდესაც უკმაყოფილება ატყდა ხალხში, მან თავი იმართლა, არაფერი ვიციო, როდესაც მან ყველაფერი იცოდა და მისი ნებართვით დადგნენ იქ, რასაც დოკუმენტებით და ფაქტებით ამტკიცებს პოლკოვნიკი გ.მელაშვილი, რომელსაც კიდევ ბევრი ფაქტი და მასალა აქვს ბ.შევარდნაძისთვის გადასაცემიც, თუ, რა თქმა უნდა, ბ-ნი პრეზიდენტი მოისურვებს და დროს იპოვის. ნუთუ ბ-ნ. შევარდნაძეს არ აინტერესებს, რა ხდება საქართველოს საზღვარზე და სასაზღვრო ჯარებში?

შაქრო ხუნდაძე

სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკი

*მინაწერი.* ბატონ პოლკოვნიკ შ.ხუნდაძის ოპტიმიზმი გადამეტებულად მესახება. სეროვთან ხელმოწერა არც სამართლიანი რეგულირების გარანტიას იძლევა, არც მის იმედს. ტერიტორია, რომელიც „სადავოდ" არის გამოცხადებული, სადავო არ არის. იგი *უდავოდ* საქართველოს ტერიტორიაა. ხოლო რუსი მესაზღვრეების აქეთ გადმოსვლა, როგორც ჩანს, მოხდა იმის წყალობით, რომ რამდენიმე კილომეტრის სიგრძის მონაკვეთი საზღვრიდან აქეთ ჩვენს მესაზღვრეებს *ცარიელი ჰქონდათ დატოვებული*. მონაცემები კიდევ დაზუსტდება და მკითხველს მოეხსენდება.

ნ.ნათაძე

## ჩვენს ნითელ ღობეს გაუმარჯოსო — ვინ იცის, იქნებ კიდევ ამ სადღეგრძელოს სვამს გენერალი ჩხეიძე



მწერლობა

# კარდუ

# ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

## აკაკი ბაქრაძე

### გზაჯვარედინი



ნახ. ი. გამრეკელისა

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ორი წელი და ცხრა თვე იარსება. 1921 წლის თებერვალ–მარტში იგი დამარცხდა და არსებობა შეწყვიტა. ჯერჯერობით ძალიან ცოტა ვიცით, რას აკეთებდა და როგორ ცხოვრობდა გრიგოლ რობაქიძე ამ პერიოდში. როცა ძირფესვიანად იქნება შესწავლილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივი, ალბათ, ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. ამას იმიტომაც ვამბობ, რომ არსებობს დოკუმენტი, რომლის თანახმად გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის კანცელარიაში რაღაც თანამდებობა ეჭირა. (გ.რობაქიძე – „ყაფლან ქემოკლიძის მინაწერი კვატატი პეტნავასადმი“. პაატა ნაცვლიშვილის წინასიტყვაობა, გვ. 6.) ამ საკითხების გარკვევა მომავალს მივანდოთ. ახლა კი ის ვთქვათ, რომ 1917–21 წლების თბილისში ბობოქარ ცხოვრებას ეწეოდა ლიტერატურაც და ხელოვნებაც. გრიგოლ რობაქიძეც მისი აქტიური მონაწილე იყო. ეს „ფალესტრა“ – რომანშიც ცხადად ჩანს. ისიც აღსანიშნავია, რომ გრიგოლ რობაქიძის მეგობრების ერთ ჯგუფს დამფუძნებელი კრების არჩევნებშიაც მოუწადინებიათ მონაწილეობის მიღება. 1919 წლის თებერვალში „მეოცნებე ნიამორები“ იუწყებოდნენ, რომ არჩევნებში მეთორმეტე ნომრით „პატრიოტების ესთეტიური ლიგა“ გამოდისო. ამ ლიგაში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე, ლადო გუდიაშვილი, ალი არსენიშვილი.

გრიგოლ რობაქიძე პოლიტიკურ მოღვაწეობას მაინცდამაინც სახარბიელო საქმედ არ თვლიდა. თუმცა პოლიტიკოსებზე წერა კი უყვარდა. ნოე ჟორდანიასაც ხოტბა ერთ–ერთმა პირველმა შეასხა.

„ქართველი პოეტისთვის საამაყოა პირდაპირ რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. თუ სტილი არა ჟორდანიას წერის მანერა უთუოდ აქვს. მის ნაწერში არ არის არც კორძიანი ხაზი და არც დაგრაგნილი ხვეული. იქ ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ჟორდანია უფრო ლაპიდარული ფორმულებით ლაპარაკობს, ვიდრე დისკურსიული პერიოდებით. მის ფორმულებში მონუმენტალური პრიმიტივის ქვებია... მას არ უყვარს სიბნელე და სძულს განყენება. მის სიტყვაში ჭირვალი სინათლეა და სხეულიანი კონკრეტობა. ამ აზრით იგი ფრანგებს უახლოვდება.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109–114

საკვირველი არ არის, რომ ჟორდანიას პირველს შემოელო ფრანგული ჟურნალიზმი“.

ნოე ჟორდანიას გარეგნობაც ძალიან მოსწონდა გრიგოლ რობაქიძეს:

„ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოსჩანს კეთილშობილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ძველად ღმერთებს ალბათ ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ჟორდანიას პროფილში უცნაური სირბილე არა მარტო გურიის ველების, არამედ მთელი იბერიის მიწის. ჟორდანია რასსიული ტიპია საქართველოსი.

მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოებისა და არა ცეცხლი სიავის“.

გრიგოლ რობაქიძე, როგორც ემოციური ბუნების ადამიანი, იოლად ეგზნებოდა. ამ გზნების გამო ზოგჯერ ადვილად ტყუვდებოდა. ეს მერეც, მოგვიანებითაც გამოვლინდება. გადაჭარბებული ალტაცებაც ამ გზნების ბრალია. ტიციან ტაბიძეს აღწერილი აქვს გრიგოლ რობაქიძის ერთი გამოსვლა ფუტურისტთა პაექრობაზე კაფე „იმედში“. ვრცელი ამონაწერი უნდა მოვიტანო, რომ მკითხველმა ცხადად დაინახოს – როგორ ეგზნებოდა გრიგოლ რობაქიძე (სიტყვა „გზნებაც“ ამიტომ უყვარდა):

„როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა.კრუჩონიხი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ ეს ღამე დაამახსოვრდა ა.კრუჩიონინს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა специалист по Апокалипсису и безумию). არ ვიცი იმ ღამეს ვისთვის ლაპარაკობდა გრიგოლ რობაქიძე: ამართლებდა ფუტურისტებს, თუ ამართლებდა თავის თავს, რომელიც ბედმა გასწირა ამ ღვაწლისთვის („подвиг“) – ამოევსო ყველა ხრამები ქართული კულტურის და ხანდისხან ამისათვის მორიდებოდა პირდაპირ გზას...

ის ლაპარაკობდა გაცოფებული და ერთად ერთი სიტყვა იყო, როცა ის თავის წინ არავის ხედავდა. მას უღალატა ორატორის ზომიერებამ. ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხი...

ლადო გუდიაშვილი ამ ღამის შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს. გრიგოლ რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გადმოსდის ტვინი ბალღამივით და შუბლი შედრეკია ისე, თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი. ამ ღამის სიმფონიის გადმოცემა არ შეიძლება...

ამ აპოკალიპსის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახსოვრე. აქ იყო ლაპარაკი ნიცშეს ინსტიქტების ანარქიაზე, ედგარ პოეს მიწის ქვესკნელის გაყრუოლებაზე, გეოლოგიურ კატასტროფებზე... დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ. მაგრამ კარგი. თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისათვისო.

ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავის მასკა. ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი, ღვაწლით შემოსილი. მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ... შეიძლებოდა ეს ღამე ყოფილიყო ქართული ფუტურიზმის დეკლარაცია, მაგრამ ეს იყო წმინდა ანტონის ცდუნება.

ეს ღამე მართლა იყო იერონიმუს ბოსხის ფანტასტიკიდან და ჩაბნელებული ესკურიალიდან. ჩემთვის ის აქამდე დარჩა, როგორც ნიშანი. მხოლოდ უდიდესი სიყვარული, როგორც მეტრისადმი, მაბედიებს ვსთქვა, რომ იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავის თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალღამის დაწვეთება („მეოცნებე ნიამორები“, 1923 წ., №10).

ტიციან ტაბიძის დახატულ სურათში მინდა მკითხველმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სამ ადგილს. ამიტომ გავუმეორებ მათ:

„ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხი“.

„თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისათვის...“

„ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალღამის დაწვეთება“.

გრიგოლ რობაქიძე ფუტურიზმს არ იცავს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, იგი იცავს განახლების იდეას. განახლებაა აუცილებელი არა მარტო ლიტერატურული ცხოვრება–საქმიანობის, არამედ მთელი ყოფიერებისა. ლიტერატურული ჯამბაზობა მაშინ იბადება, როცა მწერალი სასოწარკვეთილია. სინამდვილეში ფასეულს ვერაფერს ხედავს. როცა თავად ადამიანმა დაკარგა ღირებულება და მწერალი (საერთოდ ხელოვანი) აშიშვლებს მას, დასცინის, კარიკატურულად დაკნინებულს წარმოადგენს. თუ ფუტურიზმის მიმდევარი ახალგაზრდობა ამ თვალსაზრისით ჯამბაზობს, მაშინ, მართლაც უარესი კაცობრიობისთვის. მაგრამ იქნებ ასე არ არის? იქნებ ეს განახლების ძიებაა?

განახლების გზების ძიება გრიგოლ რობაქიძის უმთავრესი მიზანია, უმთავრესი ტკივილია. დაგუბებული იარა გახსნილია. თავადაც არ არის იგი დარწმუნებული, რომ განახლებისათვის, რომელსაც ეძებს, გამოდგება თუ არა ფუტურიზმი. უფრო მეტიც: გამოდგება თუ არა ის, რევოლუცია, რომელიც მის თვალწინ მოხდა და ჯერ არავინ უწყის – საით წავა და რას მოიმოქმედებს. ან საქართველო რას იზამს, მოხვედრილი ამ საზარელ ორომტრიალში.

იმისათვის, რომ განახლების ოცნება საქმედ აქციო, დაჭრილი ვეფხვის ენერგიაა საჭირო.

გრიგოლ რობაქიძის უმთავრესი თხზულებანი ჯერ დაწერილი არ არიან, მაგრამ ტიციან ტაბიძემ, პოეტის გუმანით, უკვე დაინახა მისი უფროსი მეგობრის შინასახე.

როცა გრიგოლ რობაქიძე კაფე „იმედში“ სიტყვას ამბობდა, ქართული მწერლობაც და მთელი საქართველოც გზაჯვარედინზე იდგა. ან დაიწყებოდა განახლება, ან ახალ ჩიხში მოექცეოდა ქართული მწერლობაც და საქართველოც. მაგრამ განახლებას, საერთოდ ქვეყნის განახლება იქნება, [illegible] კერძოდ, მწერლობისა, სჭირდება ენერგია, როგორც მამაკაცური, ისე დედაკაცური. ვაჟი ვაჟს უნდა ჰგავდეს და ქალი – ქალს. განახლებას ვერ მოახერხებს გაქალაჩუნებული, გადედლებული, გათეიმურაზხევისთავებული საზოგადოება. ამიტომ *გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ლაიტმოტივი მამაკაცურობისა და დედაკაცურობის ნოსტალგიაა, ვაჟისა და ქალის მონატრებაა.* ეს თანდათანობით მკაფიოდ გამოჩნდება. ახლა მხოლოდ შევახსენებთ: არჩიბალდ მეკეში, ანუ არჩილ მაყაშვილი, ვამეხ ლაშხი, ლევან ორბელი თუ სხვანი შუა საუკუნეების რაინდებს ჰგვანან (ირუბაქიძის გახსენება და მონატრება). მისი მეგი, კავალა, ველიტე, მზექალა თუ სხვანი – ამორძალებს (ამორძალების ხშირი ხსენება მის ნაწერებში). ამას გრიგოლ რობაქიძე საგანგებოდ აკეთებს. მაგრამ ახლა თხრობის გეზს გადავუხვიეთ და ისევ ძირითად გზას გავყვეთ.

განახლების პრობლემა გზაჯვარედინზე მდგომმა დემოკრატიულმა საქართველომ ვერ გადაწყვიტა. მან ძალიან ცოტა ხანს იარსება. თუ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი იმედი დაბადა, მისმა დამარცხებამ სასოწარკვეთილება შვა. სოციალ-დემოკრატიის ერთმა ფრთამ – მენშევიკურმა – ვერაფერი მოახერხა. ქვეყანას ვერ უპატრონა. რას იზამდა სოციალ–დემოკრატიის მეორე ფრთა – ბოლშევიკურ-კომუნისტური? პასუხს ყველა გულისკანკალით მოელოდა. თუმცა მოლოდინი სრულებით არ იყო საჭირო. 1921 წლის 16 მარტს გაზეთში „პრავდა გრუზიი“ სერგო ორჯონიკიძე იმუქრებოდა:

„მე მინდა გავაფრთხილო ქართველი ინტელიგენცია, რომ მან არ გაიმეოროს სამწუხარო გამოცდილება რუსეთის ინტელიგენციისა. მხოლოდ ხანგრძლივი საბოტაჟის შემდეგ, რომელსაც ახლდა მძიმე შედეგები ქვეყნისათვის, იგი დარწმუნდა, რომ საბჭოთა რუსეთის გარეთ არ არის ხსნა და მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან სამუშაოდ. ქართველმა ინტელიგენციამ თავისთავს უნდა უთხრას: ძველი მენშევიკური საქართველო მოკვდა. გაუმარჯოს მუშურ–გლეხურ საქართველოს! ასეთი ინტელიგენციისთვის ყველა კარი ღიაა. თუ ინტელიგენცია წავა საბოტაჟის, საიდუმლო შეთქმულებების და აჯანყების გზით, ჩვენ მისთვის არ გვექნება სხვა ენა, გარდა ტყვიისა“.

მკაფიოდ არის ნათქვამი – გარდა ტყვიისა. მაგრამ ხალხი მაინც დაბნეულია.

დაბნეულია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთი დღის შემდეგ, 1921 წლის 17 მარტს იმავე გაზეთში მეორე ქართველი ბოლშევიკ–კომუნისტი ფილიპე მახარაძე სხვას ამბობს: „წითელი არმია თავის ნათელი ამოცანის შესრულებისთანავე წავა საქართველოდან“. მაგრამ, ეტყობა, ფილიპე მახარაძემ არ იცოდა ის, რაც ჩინებულად უწყოდა გენერალმა პავლე ციციანოვმა. „ნუ ოცნებობთ ტყუილად, ვითომ რუსები საქართველოში დროებით არიან და მალე წავლენო. რუსები, რაკი რომელსამე ქვეყანას თავის გუბერნიად დაჰსახ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## მემკვიდრეობა

# კარდუ

# ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

### აკაკი ბაქრაძე

მე-5 გვერდიდან

ავენ, ფეხს თავის დღეში აღარ მოიცვლიან", (ალექსანდრე ფრონელი – „მთიულეთი, 1804 წ." 1896 წ., გვ. 29) – აფრთხილებდა გარუსებული ქართველი გენერალი 1804 წლის მთიულეთის ამბოხების იმედად დარჩენილ ქართველ თავადაზნაურობას.

დაბნეულია ხალხი, მეორეც იმიტომ, რომ თავდაპირველად ქართველმა ბოლშევიკ-კომუნისტებმა თავი მოიკატუნეს. 26 მაისიც კი იდღესასწაულეს. დიდი აღლუმი გამართეს რუსთაველის გამზირზე დიდების ტაძრის (ახლანდელი სამხატვრო გალერეა) წინ. 1921 წლის 24 მაისს გაზეთი „პრავდა გრუზიის" ცნობით, ზეიმი ტარდებოდა ლოზუნგით – „გაუმარჯოს საქართველოს მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლობას!" 26 მაისიც ულიარებიათ დამოუკიდებლობის დღედ. „ინტერნაციონალთან" ერთად, ეროვნული ჰიმნი „დიდება" სამსამჯერ შესრულებულა ტაშის გრიალში. ამ დღეს რუსთაველის ძეგლისთვისაც ჩაუყრიათ საფუძველი.

1921 წლის 26 მაისის ზეიმზე სიტყვებით გამოსულან ფილიპე მახარაძე, შალვა ელიავა, სერგეი კიროვი, გრიგოლ რობაქიძე.

28 მაისის „პრავდა გრუზიი" გრიგოლ რობაქიძის სიტყვის შინაარსს ასე გადმოგვცემს:

„ამხანაგებო და მოქალაქენო! დღეს, 26 მაისს, საძირკველი ეყრება შოთა რუსთაველის ძეგლს. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დიდი რუსთაველის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა, მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად, ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს.

საქართველო არ არის უბრალო „ეთნოგრაფიული" ცნება და არც მხოლოდ „გეოგრაფიული მოხაზულობა". საქართველო ავლენს მცირე აზიის მთელ სივრცეზე განფენილ მნიშვნელოვან კულტურას. ამ კულტურის გამოჩენილი გენიოსის შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკვლის ჩაყრა იძენს უზარმაზარ აზრს. მუშათა და გლეხთა მასები განსაკუთრებული სიხარულითა და ნდობით შეეგებებიან ამ ძეგლის გახსნას. ხელოვნების განყოფილების სახელით ვაცხადებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერითა და მთელი ქართველი ხალხის ნებით, ეს ძეგლი აღიმართება საზეიმოდ და საზეიმოდვე გაიხსნება.

დე, ეს ძეგლი, სიმბოლო ქართული გენიის უნივერსალობისა, იყოს აღმოსავლეთის მთელი კულტურისა და მისი ხალხების დამოუკიდებლობის მომუმენტი. ეს ასე უნდა იყოს და ძეგლის გახსნის მომავალი დღესასწაული იქნება ზეიმი მცირე აზიის ყველა ხალხისათვის.

დიდება თავისუფალ საქართველოს! დიდება განთავისუფლების დღეს – 26 მაისს!

დიდება შოთა რუსთაველს!"

გრიგოლ რობაქიძეს სიტყვა იმიტომ ათქმევინეს, რომ მას უკვე ეჭირა პატარა თანამდებობა განათლების სახალხო კომისარიატში. 1921 წლის აპრილში იგი დანიშნეს განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარედ.

თავად გრიგოლ რობაქიძის სიტყვით, „ამ ორგანოს ჰქონდა ორი მიმართება: იდეოლოგიური და ორგანიზაციული. პირველი მიმართება „განყოფილებას" მიახლოებით ამ სახით ჰქონდა წარმოდგენილი: ხელოვნება იცვლება იმნაირადვე, როგორც ყოველი დარგი შემოქმედებისა. ყოველ ეპოქას აქვს თავისი რიტმი და თავისი სტილი. დიდი სოციალური რევოლუცია, რომელმაც ძირეულად შეარყია და შეცვალა ადამიანის ყოფა, ცხადია, ხელოვნებაშიაც უნდა შეჭრილიყო. იქმნება ახალი ეპოქა. მაშასადამე, იშვება ახალი რიტმი და ახალი სტილი. მთავარ გრეხილად რევოლუციური თანადროულობისა უნდა ჩაითვალოს პსიხიკის კოლექტივიზაცია. შეცნობაში იზრდება და მაგრდება ყოვლადობა და ახლოობა კაცთა და ნივთთა. ვიწროპიროვნული ადგილს უთმობს ყოვლადკაცობრივს. ინტერნაციონალური მოტივები ხდებიან დომინანტად შემოქმედებაში. წმინდა ლირიკის ადგილზე ისახება სრულიად ახალი ეპოსი...

„განყოფილებას" არ შეეძლო დაივიწყებისათვის მიეცა ხელოვნების „წარსული". მას ეს „წარსული" ესახებოდა (და ესახება), როგორც ჰაბიტუსი საერთო კულტურისა. არის ბევრი რამ წარსულში, რაც ორგანიულ რკალად გადადის მომავალში. თუ ამ „წარსულის" პირდაპირი დახმარება არა, მისი შენახვა და დაცვა აუცილებელ საქმეს შეადგენს. თავისთავად იგულისხმება: შენახვა და დაცვა იმდენად, რამდენადაც უწყებული „წარსული" არ ეწინააღმდეგება პირდაპირ რევოლუციურ თანადროულობას" („ხელოვნების დროშა", 1924 წ., №1).

მაგრამ, ჩანს, ხელისუფლება რაღაცით მაინც უკმაყოფილო დარჩენილა გრიგოლ რობაქიძის საქმიანობით. 1925 წლის აგვისტოში იგი დააქვეითეს. მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს.

ალბათ, იმიტომაც აქვეითებენ, რომ ვითარება მეტისმეტად რთულია. ხალხი არ ენდობა ხელისუფლებას, ხელისუფლება – ხალხს. ხელისუფლებას უმჯობესად მიაჩნია სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე გამობრძმედილი ბოლშევიკი ჰყავდეს, ვიდრე უპარტიო მწერალი. ამით იგი თავს უფრო მშვიდად იგრძნობს. მით უფრო, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგობა არ წყდება. სერგო ორჯონიკიძის მუქარაც აქტიურად მოქმედებს. ვინც ურჩობას გაბედავს აპატიმრებენ, ასახლებენ, ხვრეტენ. აწიოკებენ, აოხრებენ ამა თუ იმ კუთხეს, სადაც ან უკვე მოხდა ამბოხება, ანდა მოსალოდნელია ჯანყი. ამ რთულსა და დაძაბულ ვითარებაში იფეთქა 1924 წლის აგვისტოს დიდმა აჯანყებამ.

გრიგოლ რობაქიძე იმათ შორის იყო, ვინც ფიქრობდა, რომ ინსურგეცია მარცხით დამთავრდებოდა. მოყვებოდა ზღვა სისხლი და მსხვერპლი.




შედეგი კი კიდევ უფრო მეტად ჩააგდებდა ქართველ საზოგადოებას სასოწარკვეთილებაში.

„გრაალის მცველში" ლევან ორბელს მფრინავი სალარა ატყობინებს, რომ მზადდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყება. მოახლოებული ამბოხებით აღტაცებული სალარა ლევანს უყვება: ანტიბოლშევიკურ აჯანყებას საქართველოში მოჰყვება სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყებანიც. ევროპა დახმარებას გაგვიწევს. ერთ კვირაში მთელ კავკასიაში დაემხობა რუსეთის ბატონობა.

უსმენს ლევანი ახალგაზრდა კაცის მღელვარე სიტყვებს. სასოწარკვეთილმა არ იცის რა ქნას. აჯანყებას ვერაფერი შეაჩერებს. მოხდება უზომო სისხლისღვრა. ქართველთა აჯანყებას არავითარი გამოძახილი არ მოჰყვება არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში, არც ჩრდილოეთ კავკასიაში. რუსი ბოლშევიკები თვალისდახამხამებაში მოაწყობენ ამბოხების ლოკალიზირებას. სისხლში ჩაახრჩობენ საქართველოს. ევროპა ყურსაც არ გაიბარტყუნებს ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად.

შეშლილობად, გონებასისუსტედ მიაჩნია ლევან ორბელს დაგეგმილი აჯანყება. მით უფრო სავალალოა მდგომარეობა იმით, რომ ამბოხებას ხელმძღვანელობს პარიტეტული კომიტეტი. კომიტეტში შემავალმა პარტიებმა ხომ პარტიული კინკლაობის მეტი არაფერი იციან. როგორ უმეთაურებენ ისინი ბრძოლის ველზე ხალხს, – დაბნეული ეკითხება იგი სალარას. ყმაწვილ კაცს არ სჯერა ლევანის. იგი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. მაგრამ ლევანი მართალი აღმოჩნდა. აჯანყება გაანადგურეს. აჯანყების ზოგიერთმა მონაწილემ უცხოეთში მოასწრო გაქცევა. მოგვიანებით საფრანგეთში ჩავიდა თავადი გიორგის რძალი ნორინა. პარიზში იგი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ორ მონაწილეს ყანსავსა და ბასილას უყვება – ვის რა ბედი ეწია ამბოხების დამარცხების შემდგომ. მათ შორის, სალარასაც (თვითონ ავტორის განმარტებით, სალარას პროტოტიპი მფრინავი ამბაკო სალარაძეა).

თბილისთან ახლოს თვითმფრინავი ჩამოვარდა და დაიწვა. სამი დიდი ხელისუფალი დაიღუპა. ამ თვითმფრინავით სოხუმს უნდა გამგზავრებულიყო ს.ო.-ც (ამ ინიციალებით არის გამოყვანილი რომანში სერგო ორჯონიკიძე), მაგრამ იგი წინათგრძნობამ იხსნა. თხუთმეტი წუთით ადრე უარი თქვა გაფრენაზე. თვითმფრინავს სალარა პილოტობდა. ისიც დაიღუპა. კატასტროფის მიზეზების გამომკვლევმა კომისიამ ზუსტად დაადგინა, რომ თვითმფრინავი გამართული და მოწესრიგებული იყო. ხომ არ იძია შური სალარამ? – კითხვას სვამს ნორინა.

ეს კითხვა მართლაც დამაფიქრებელია.

ფაქტია: 1925 წლის 22 მარტს თბილისთან კატასტროფა განიცადა სოხუმს მიმავალმა „იუნკერსის" ტიპის თვითმფრინავმა. კატასტროფის მსხვერპლნი გახდნენ მამალი ბოლშევიკები ათარბეგოვი, მიასნიკოვი და მოგილევსკი (ისინი დაკრძალულნი არიან რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერეის წინ. ამჟამად მემორიალური დაფა მოხსნილია), მფრინავები – ქართველი ამბაკო სალარაძე და გერმანელი შპილი.

იმ კომისიის დასკვნაში, რომელმაც კატასტროფის მიზეზები გამოიკვლია, წერია: „ჰაეროპლანს არ წაკიდებია ცეცხლი მოტორის და მისი ნაწილების მოუწყობლობის გამო. მუშაობის მთელი სისტემა აღმოჩნდა კარგ მდგომარეობაში. ამის მიხედვით შეიძლება დასკვნა, რომ შეხლა-შემოხლა არ მომხდარა ავარიის დროს მმართველი ნაწილის გაფუჭების გამო. არ არის შემჩნეული აგრეთვე არავითარი ნაკლი ბენზინის სადენებში და იმ ადგილებში, სადაც ისინი უერთდებიან ბლოკებს.

კომისიის დასკვნა:

1. ჰაეროპლანის ცეცხლის წაკიდება მოხდა არა მოტორისაგან და არც დაზიანებისაგან ანდა მმართველი ორგანოების ნაკლულევანებისაგან.

2. ვარაუდით ცეცხლი თვითმფრინავში გაჩნდა სამგზავრო კაბინის შიგნით, საიდანაც ცეცხლი შესაძლებელია მოხვედროდა 18-ლიტრიან რეზერვუარს, რომელიც აწვდის ბენზინს კარბურატორში" (გაზ. „კომუნისტი", 1925 წ., 24 მარტი).

ნორინა მართალი უნდა იყოს. ეს დასკვნა მართლაც გვაფიქრებინებს, რომ თვითმფრინავი დაიღუპა ტერორისტული აქტის შედეგად. იმასაც თუ მივაქცევთ ყურადღებას, რაც ამბაკო სალარაძის ნეკროლოგშია ხაზგასმული, მაშინ მფრინავის თავგანწირვის აზრი გაგვიმტკიცდება. „უკანასკნელი გაფრენის დროს იგი განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით ემშვიდობებოდა თავის ნათესავებს". მართალია, კომუნისტური პრესა იგლოვს მუშისა და მუშის შვილის ამბაკო სალარაძის დაღუპვას, მაგრამ როგორც ჩანს, მას სამშობლო უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე კომპარტია.

მიუხედავად ასაკით განსხვავებისა (როცა მფრინავი დაიღუპა, იგი 27 წლის იყო), გრიგოლ რობაქიძე და ამბაკო სალარაძე ახლობელი ადამიანები ყოფილან. რომანში ნათქვამია, სალარას ძალიან უყვარდაო ლევანი. (უკვე ვთქვი: ლევან ორბელის პროტოტიპი თვითონ გრიგოლ რობაქიძეა).

რომანის გამოქვეყნებამდე არავინ ფიქრობდა, რომ თვითმფრინავის დაღუპვა ტერორისტული აქტი იყო. ჩანს, გრიგოლ რობაქიძემ ეს საიდუმლო იცოდა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწერლობა

# აზრთა გაზაფხული

***როსტომ ჩხეიძე ბოლო წლებში ინტენსიურად მუშაობს საქართველოში XIX-XX საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესწავლასა და ასახვაზე, რა გზითაც წარმოჩნდება ეროვნული სულის სიცოცხლე, მოწინავე აზრის გაზაფხული. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომებია: „დაწყევლილი თაობა", „ისევ შვიდნი ვართ", „ალექსანდრე ორბელიანი".***







„დაწყევლილი თაობა" ორ წიგნად გამოვიდა და ეძღვნება 1942 წლის შეთქმულებას. გმირები, რომელთაც ეს წიგნი გვაცნობს, ისინი არიან, მამულის სიყვარულითა და მისი სამსახურის სურვილით რომ მოვიდნენ ამქვეყნად. ვისაც არ ასვენებდა „ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი, გამოგლეჯილი, უსულოდ დანარცხებული" საქართველოს ბედი, ებრალებოდა თავისი უბედური ქვეყანა.

განსასჯელია, რამდენად მართალნი, პოლიტიკურად გამჭრიახნი თუ რეალურნი იყვნენ ისინი, ერთი რამ კი ცხადია, თითოეულ მათგანს გულის ფიცარზე ეწერა, რომ „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა" და სიცოცხლე თუ სიკვდილი თავისი საქართველოსთვის უნდოდა. უმრავლესობა იმ სამსხვერპლო ზვარაკად გადაიქცა, ვისი წმიდა სისხლიც მუდამ ეჭირვება „სარწყავად" ჩვენს ქვეყანას.

„დაწყევლილი თაობა" მრავალმხრივი წიგნია. მისი შეფასება შეიძლება მხატვრული, ისტორიული და პოლიტიკური თვალსაზრისით.

წიგნი წარმოგვიდგენს მრავალ ადამიანს, გვაცნობს მათ შემოქმედებას, მსოფლმხედველობას, პიროვნულ თავისებურებებს, ოჯახს. მრავალფეროვანია კომპოზიციურადაც.

ინფორმაციული და ისტორიული თვალსაზრისით, „დაწყევლილი თაობა" სრულიად ახალი სიტყვაა ამ შეთქმულებაზე, რამდენადაც თვითონ როსტომ ჩხეიძეს მოუპოვებია ყველა ეს მასალა, გასაუბრებია ცოცხლად გადარჩენილთ, რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს, გაუცვნია შეთქმულების მონაწილეთა თხზულებები, დღიურები, პირადი ჩანაწერები და ასე შეუქმნია 1942 წლის შეთქმულების სურათი. ავტორს კარგად ესმის შეთქმულთა მიზანი თუ შეხედულებანი, იცავს მათ ფაშიზმისა და პოლიტიკური გულუბრყვილობის ბრალდებებისაგან.

მწერლისთვის უაღრესად ახლობელია ის თემა, რომელსაც შესჭიდებია. საუბარსა თუ ანალიზს აქედან იწყებს, ამ მოვლენის მიხედვით უცდომლად აღიქვამს მოვლენებს: „თავიდან იქნებ მისივე ტანჯულ ბედზე უნდა ვკითხო, მაგრამ მე მაინც 1942 წლის შეთქმულებაზე ვეკითხები. აქედან მირჩევნია საუბრის დაწყება, რათა მისი ნაამბობი უფრო გარკვეული იყოს ჩემთვის".

ემზარ კვიტაიშვილი ზურაბ მიქელაძეზე ეუბნება როსტომ ჩხეიძეს: „შენს შეთქმულებს რომ მიზანი ჰქონდათ, ზურაბიც ისეთივე მოტივითაა დაპატიმრებულიო". „შენს შეთქმულებს" – ამ ორი სიტყვიდან ნათელია, თუ რაოდენ ახლობელია მწერლისთვის თავისი წიგნის პერსონაჟების ყოფა. ამიტომაა, რომ მკითხველისთვის გასაგებია შეთქმულთა სიზმარი და ცხადი, მათი ცხოვრება, გეგმები, ჩანაწერები, ბრძოლები, იდეები, მიზნები, ოცნებები. ახსნილია სახელწოდება „სამანის" მნიშვნელობა: საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალური ინტერნაციონალი.

მწერალი საუკეთესოდაა ინფორმირებული 40-იანი წლების საქართველოს შესახებ. აქ ამოიკითხავთ: „კახელი გლეხები გერმანიის შემოსვლას აღდგომის მოსვლას უწოდებდნენო", „შ.ნ.-ს ქართული ფილოსოფიის ისტორია დაუწერია და ლოგინად ჩავარდნილაო" და სხვა ცნობებს თითქმის მთელი მაშინდელი ინტელიგენციის შესახებ.

„დაწყევლილი თაობის" ავტორი კვლევისას ფრთხილობს, რომ შეცდომა არ დაუშვას კორნელი კეკელიძის, პავლე ინგოროყვას, მიხეილ ზანდუკელისა და სხვა პიროვნებების შესახებ საუბრისას. იგი ინტელიგენტთა შორის გაარჩევს ისეთთ, რომელნიც სულიერად ამზადებდნენ აჯანყებას; რომელნიც ტყეში გადიოდნენ და პრაქტიკულად იბრძოდნენ; რომელნიც გვერდით იდგნენ, მაგრამ წიგნის ენით რომ ვთქვათ, ქმნიდნენ „აზრთა გაზაფხულს", რასაც „ზღაპრეთის სული" მოჰქონდა.

მწერალი დამნაშავეთაც რამდენიმე კატეგორიად ყოფს: კურდღელაიძენი; უნებლიე შემცოდენი; ნებით, მაგრამ ტანჯვისას შემცოდენი. თითოეულ ამ კატეგორიათაგანს განსხვავებული მიდგომა უნდაო, გვარწმუნებს მწერალი და თვითონაც ასე იქცევა.

წიგნზე მუშაობისას ავტორს უზარმაზარი შრომა ლაუხარჯავს. შეუსწავლია შეთქმულთა საქმის შვიდი ტომი, პირველმკვლევრის ინტუიცია და მძიმე შრომა ერთურთისთვის შეუხამებია, სასიგნალო ეგზემპლარიც გადაუკეთებია, რითაც ჩანს მისი დიდი პასუხისმგებლობა თავსდებული საქმისადმი.

„დაწყევლილი თაობა" ასახავს ავტორის სტილს, წერის მანერას, პიროვნულ თავისებურებებს. როსტომ ჩხეიძე წარმოგვიდგენს აჯანყებულთა რომანტიკულ სულს, მათ მეოცნებე, ლამაზ ბუნებას. მკითხველისთვის გასაგებია, რომ თვითონ ავტორიც ამგვარად აღიქვამს სამყაროს, მისთვისაც მეტად ახლობელია „ზღაპრეთის სული". ამიტომ ჩანაწერებიდან თუ მიმოწერებში ავტორი პოეტურ დეტალებს ამოარჩევს. ილიკო მზის ამოსვლისა და მთვარის მილევის სურათს ასახავს. ავტორს უცდომელი დასკვნა გამოაქვს:

„სიკვდილის საშიშროების წინაშე მდგართ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ თავიანთი ღირსება, ვაჟკაცის სახელი და დევნილის ყოფაშიც სილამაზეს ეძებენ".

მწერალი ზღაპრისა თუ მითოსის პერსონაჟებად წარმოგვიდგენს თავის გმირებს. ხელახლა გაცოცხლებული აქილევსის, ოდისევსისა თუ ავთანდილის მსგავსად გადალახავს დალისკენ მიმავალ ბილიკს ადამ ბობლიაშვილი... მწერალი რომ იყოს, მათზე გულის შემძვრელ მოთხრობებს დაწერდაო – ასეთი გულისტკენა შეინიშნება ადამის პიროვნებასთან დაკავშირებით, თითქოს არაა გულისშემძვრელი მათი თავგადასავლების როსტომ ჩხეიძისეული ასახვა. განა ვინმე მშვიდად წაიკითხავს გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუას პატიმრებისათვის თბილისიდან გაგზავნილ წერილს, გივი და მარი აბრამიშვილების მიმოწერას ჯერ მშობლებთან სახლში და შემდეგ ერთმანეთთან, ციხე-კატორღაში, იმავე გივი აბრამიშვილის წუხილს, „ცხოვრება ისე გავლიე, ვერაფერში გამოვადექი ჩემს უბედურ ქვეყანასო", სიკვდილისა თუ მამულთან სამუდამო განშორების წინ ციხეში სამშობლოსთვის ლოცვად აღვლენილ სადღეგრძელოს, „გმირთა ვარამის" თავგადასავალს, მეთაურის ვალის სტეფანე ფიცხელაურისეულ გააზრებას და სხვა მრავალს, რასაც დაერთვის მწერლის შესანიშნავი, ოდნავ ნერვული, დაძაბული, რომანტიკული კომენტარი. ამით გამოჩნდება, როგორც შეთქმულთა ბუნება და გემოვნება, ასევე ავტორის წერის მანერაც. ამ მხრივ საუკეთესო თავია „რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო".

მკითხველისთვის ცხადია ავტორის მიზანი. წიგნი უამრავ საფიქრალსაც აღძრავს:

ნებისმიერი სახელმწიფო თავისებურ წესებს ქმნის და უმთავრეს მიზნად მორჩილი მასის ჩამოყალიბებას თვლის. სასურველია, ეს მასა საერთოდ ვერ აზროვნებდეს, ჩინგიზ აიტმატოვისეულ მანქურთად გადაიქცეს, ან ჭაბუა ამირეჯიბის არქიფო სეთურის მიერ შექმნილ საზოგადოებად. ასეც ხდება. ადამიანთა უმრავლესობა, იოლად თუ შეწინააღმდეგებით, ბოლოს მაინც ემორჩილება ტირანიას. ზურაბ კანდელაკის თქმისა არ იყოს, ძუკნად გადაიქცევა და ვერ გააღწევს დერეფნის ბოლოს, სადაც უფლისმიერი ნათელია. მხოლოდ იშვიათი მოახერხებს, გაუძლოს ბოროტებას, სული და გონება არ წაიხდინოს და ამაღლდეს. „მრავალნი არიან დიდებულ, მაგრამ მცირედნი – რჩეულ", – გვასწავლის „სახარება". როსტომ ჩხეიძის წიგნიც ამ რჩეულებზეა დაწერილი. მეტად მძიმეა მათი ხვედრი. ჩინგიზ აიტმატოვს დავიმოწმებ: „სავანა უხდიდა სისხლიან ღალას ღმერთებს იმიტომ, რომ სავანად დარჩენა გაბედა" („საჯალათო კუნძი"). მართლაც, რჩეულებს საკუთარი განსაკუთრებულობისთვის სისხლიანი ღალა აქვთ გადასახდელი.

ერთფეროვან, გამანქურთებულ საბჭოთა მოქალაქეთა შორის გამორჩევა მეტისმეტად ჭირდა. ამ იმპერიამ დიდებულად მოახერხა ბერბიჭაშვილთა შექმნა, იმ ხალხისა, სამშობლოს სიყვარულს დანაშაულად რომ მიიჩნევს და სინდისის ქენჯნას კი არ გრძნობს ამისთვის, არამედ თავმოსაწონარ, დასატრაბახებელ, მემუარებში ჩასაწერ გმირობადაც მიიჩნევს მამულიშვილთათვის ანგარიშსწორებას. ასე ანადგურებდნენ და ანადგურებენ იმ რჩეულ კაცებს, რომელთა ერთადერთი „დანაშაული" სამშობლოს სიყვარულია. აქ როდია ლაპარაკი მხოლოდ პოლიტიკურ მტრებზე, ან დაპირისპირებულ მხარეებზე, აქ ხდება სიკეთისა და ბოროტების ურთიერთდაპირისპირება, ბოროტების აღზევება სატანით შეპყრობილ ადამიანთა წყალობით, რადგან როგორც უნდა გავაყალბოთ რეალობა, როგორც უნდა დავამახინჯოთ ისტორიული სინამდვილე, მაინც შეუძლებელია, მოსაწონი და გასამართლებელი იყოს ბაზალეთის, ტაბახმელას, თუნდ თბილისისა და აფხაზეთის ამბები, რადგან ყველა შემთხვევაში კაენური ცოდვა დატრიალდა. ან რომელი ლოგიკით აიხსნება კახეთის აჯანყებისა და 1832 წლის შეთქმულების სისხლში ჩახშობის ამბები, XI არმიის „ზარზეიმით" შემობრძანება საქართველოში, 1937, 42 და 56 წლების რეპრესიები? გნებავთ ის მოვლენები, რაც ჩვენს თვალწინ ტრიალებს.

თუმცა მტერი ვერაფერს მოახერხებს გარსევანის მსგავსი ვინმეს გამონახვის გარეშე. 42-შიც ასე იყო, ჩაუკვირდებით ამ კაცს და კიდევ ერთხელ დარწმუნდებით, რომ არც პოეტური მონაცემები, არც მეცნიერული მიღწევები და არც სილამაზის აღქმის უნარი (ხმელი კუნძებისა და გამხმარი ტოტებისაგან საგანთა თუ ცხოველთა მშვენიერ გამოსახულებებს რომ აქმნევინებდა) არაფერს ნიშნავს, თუ პიროვნებას იმ ერთი რამის სიყვარული აკლია, დაფარვა რომ სჭირდება. ან ბიძინა ჩოლოყაშვილისა არ იყოს, ის თუ გადაუვარდა გულიდან, რაც სიკვდილამდე უნდა ახსოვდეს. ამიტომაა, რომ კურდღელაიძე სიამოვნებით შენიშნავს, როგორ გადმოიბირა სამანელთა ნათესავმეგობრები, როგორ აგზავნიდა ყოველდღიურად რადიოგრამებს თბილისში თავისი საქმიანობის შესახებ, როგორ იწონებდა თავს ადამ ბობლიაშვილთან გამართული დისკუსიით, როგორ ამზადებდა მახვილს კარგ ქართველთა ზურგში ჩასაცემად და როგორ უხარია, რომ მის მიერ გამოზრდილი მათე წვერაიძეა დევანოზის, ფანცალასა და ადამის მკვლელი.

30 წუთით, 10 წუთით, 5 წუთით, 1 წუთით მაინც შემოუშვით ჩვენს საკანში ბერბიჭაშვილიო, იხვეწებიან დაპატიმრებული ბიჭები. ალბათ სურთ, თვალებში ჩახედონ მას – უხსენებელს, ქვემძრომს. ვერ წარმოუდგენიათ, რომ გარსევანისნაირთა წყალობით თვითონაც ვაგონში შეყრილები არიან და ტყვიამფრქვევის მსროლელი მათეებიც კმაყოფილებით ასრულებენ თავის „საპატიო მისიას"...

დახვრეტენ, გადაასახლებენ, საფლავს არ აღირსებენ, თავებს დაჭრიან, ძვლებსაც კი შეურაცხყოფენ მართლა ლამაზი, მეოცნებე გოგო-ბიჭებისა, უფლის შვილების, მაგრამ დარჩება იმედი, რომ ღმერთი არ გასწირავს უსამართლოდ განაწირს, აუცილებლად მიეპატრონება თავის საყვარელ მართალს, უსათუოდ დადგება დრო, როცა იქნებიან „წინანი უკანა და უკანანი – წინა". სხვაგვარად შეუძლებელია, სხვანაირად ცხოვრება ვერ გაგრძელდება, რადგან ის მარილი მოაკლდება, რომლის გარეშეც ვერ განქარდება „სიმყრალე ამსოფლიური", ვერ „დამარილდება" ქვეყნიური ცოდვები.

როსტომ ჩხეიძე „წვეროსნებს" უწოდებს შეთქმულებს, ასე გამოარჩევს მათ დანარჩენთაგან. შემთხვევითი არაა მათი ამგვარად აღქმა. წვერი ხომ აერთიანებს ქრისტიანულ, კაცურ და ქართულ ნამუსსაც. იგი, ასე ვთქვათ, სამმაგი დატვირთვის მქონეა, შეთქმულნი კი სწორედ ამ სამით გამოირჩეოდნენ სხვათაგან.

დრომ თავისი მიუზღო 1812-ს, 1832-ს, 1917-ს, 21-ს, 24-ს, 37-ს და აი, 42-საც. ამიტომ მადლობის ღირსია როსტომ ჩხეიძე, რომელმაც უამრავი სიძნელის გადალახვით მოახერხა, მოეძიებინა საგანგებოდ დამალული, გასანადგურებლად განწირული მასალები და აღედგინა ჭეშმარიტება. ამ შემთხვევაში მწერალი უფლის ნების შემსრულებელია. თვითონაც იმ კვეთისა და მაწვნისდედის ფუნქციის მქონებელია, რომელიც საჭიროა ცხოვრების გასაგრძელებლად. ამდენად, მისი ეს საქმე, რაც „დაწყევლილი თაობის" ორი წიგნის გამოსვლით დაგვირგვინდა, მოსაწონია უფლისაგან და ბედნიერების მომტანია კაცთათვის, რადგან შეგვმატებს რწმენას, რომ ოდესმე მაინც აღდგება სამართლიანობა, აუცილებლად მიეზღვება ყველას თავისი და ყველაფერს შესაფერისი სახელი დაერქმევა.

ლალი დათაშვილი

# „იუდუშკა“ ტროცკი

ასე უწოდა ლენინმა თავისი გვარდიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, როცა მან ყურმოჭრილ მონასავით არ შეასრულა ლენინის მითითება ბრესტში ზავის შესახებ, ხოლო როცა საჭირო იყო ტროცკის „მოთაფლვა“, იგივე ლენინმა დასძინა, რომ რევოლუციის (1917 წ.) ნახევარი ტროცკის ეკუთვნისო (მეორე ნახევარს ალბათ თავისად თვლიდა!). „აბა ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“ ლევ ტროცკი (ლეიბა დავითის ძე ბერშტეინი – ებრაელი) სისხლიანი ბოლშევიკური ვაკხანალიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ლენინის შემდეგ. მაგრამ ჩვენს მიზანს არ შეადგენს ტროცკის პოლიტიკური მოღვაწეობის ანალიტიკური გარჩევა. ჩვენ მას განვიხილავთ სქემატურად სტალინის დაბადებიდან 118-ე წლისთავთან კავშირში და შევეხებით, როგორც ტიპიურ მაგალითს – ბოლშევიკური ელიტის მგლურ, ბინძურ სწრაფვას აბსოლუტური ხელისუფლებისაკენ და ამ სწრაფვა-ბრძოლაში ერთმანეთის დაძიძგნას, როგორც ეს ხდებოდა – „დათა თუთაშხიას“ კასრში – ერთმანეთს რომ ჭამდნენ ვირთხები და ბოლოს ერთი უნდა დარჩენილიყო ვირთხაჭამია. სწორედ დაძიძგნილ-შეჭმული ვირთხის ბედი გაიზიარა ტროცკიმ, რაც მას სტალინმა „აზიური ვერაგობით არგუნა“ (ტროცკი).

ტროცკი საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა და კარგი განათლება მიიღო – დაამთავრა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი, იცოდა ევროპული ენები და კულტურა, ხანგრძლივად ცხოვრობდა ევროპაში – სხვადასხვა ქვეყნებში. ადრე ჩაება რევოლუციურ მოღვაწეობაში. ჯერ იყო მენშევიკი, შემდეგ ბოლშევიკი. დღეს ცნობილია, რომ ტროცკი სტალინს, როგორც „აზიურ დესპოტსა და გაუნათლებელს“ ისე უყურებდა და ვერ წარმოედგინა, რომ სტალინი „ასეთ საქმეს დამართებდა“, არ სჯეროდა! დღეს ცნობილია, რომ როცა მათ შორის „შავმა კატამ“ გაირბინა და სტალინი პოლიტბიუროს სხდომებს ატარებდა, ტროცკი არ უსმენდა, ბულვარულ რომანებს კითხულობდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე და სულაც არ ენაღვლებოდა, რას იტყოდა „გაუნათლებელი აზიელი“. იგი გრძნობდა, რომ თავისი ფუნდამენტალური, კლასიკური განათლებით ძალზე მაღლა იდგა სტალინთან შედარებით და არად აგდებდა მის ვერაგობას, თუმცა გრძნობდა, რომ სტალინი „ორსახოვანი იანუსი“ იყო. ამასთანავე ტროცკი იყო ძალზე მერყევი კაცი, ხშირად იცვლიდა შეხედულებებს და არავის გავლენის ქვეშ არ ექცეოდა.

ბოლშევიკურ პარტიაში საბოლოოდ 1917 წლის ზაფხულში „გაფორმდა“; ლენინი ხშირად აკრიტიკებდა, მაგრამ ანგარიშს უწევდა მის დიდ ნიჭსა და დარწმუნების უნარს. ფაქტია, რომ ტროცკის 1917 წლის შემოდგომაზე პეტროგრადის გარნიზონი არ დაერწმუნებია ბოლშევიკების მხარეზე გადმოსულიყო – არავითარი გადატრიალება არ მოხდებოდა, ამას ლენინიც აღნიშნავდა. ტროცკის შემდეგ ლენინი სიტყვით გამოსვლას თავს არიდებდა – უბრალოდ ვერ ახდენდა შთაბეჭდილებას. ურიცკი აღნიშნავდა: „აი მოვიდა ოქტომბერი და როგორი ჭკვიანი არ იყო ლენინი, მაგრამ ფერმკრთალდებოდა ტროცკის გენიასთან შედარებისას“. იგი „ქუხდა“ მიტინგებზე და მის სიტყვებს ჰქონდა მაგიური ძალა, „იგი აფრქვევდა აუდიტორიაზე სიტყვის ნიაგარას“ (ჯ.რიდი). ლენინისა და ტროცკის ურთიერთობა მუდამ დაძაბული იყო. ტროცკი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და ყოველთვის ახერხებდა გამოქცევას (ლიბერალი, თუ დემოკრატი იყო ხელმწიფე?). რევოლუციის წინ ჩამოვიდა რუსეთში და ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღო გადატრიალებაში (საერთოდ ტერმინს „რევოლუციას“ არ ხმარობდა – გადატრიალებას ამჯობინებდა, რაც ფაქტს შეესაბამებოდა). თუმცა ბაქიაობაც და თვითგანდიდებაც უყვარდა. მისი სიტყვებია: „მე და ლენინი რომ პეტროგრადში არ ვყოფილიყავით, არც ოქტომბრის გადატრიალება იქნებოდაო“ და ამით ხაზს უსვამდა, რომ იგი იყო მეორე პიროვნება (ლენინის შემდეგ!) პარტიაში. ლენინის წინადადებით ტროცკი გახდა საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი, ამავე დროს იგი იყო პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე. ლენინის სიკვდილის შემდეგ საშინელი, დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა სტალინსა და ტროცკის შორის პირველობისთვის. საგაზეთო სტატიაში არ გვაქვს საშუალება დეტალურად აღვნიშნოთ ამ ბრძოლის ამაზრზენი, ცალკეული პერიპეტიები. სტალინმა თუმცა იცოდა ლენინის ძირითადი აზრი რუსეთში სოციალიზმის აშენების შესახებ (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია), ბევრი რამ ტროცკიდანაც აიღო (ასევე ბუხარინიდან და სხვებისგან!) და შემდეგ თავისად გაასაღა. ლენინმა თვითონ არ იცოდა კარგად რა სახელმწიფოს აშენებდა და ათასნაირ ექსპერიმენტს აწარმოებდა დაბეჩავებული რუსეთის ხალხებზე. ჯერ „სამხედრო კომუნიზმი“, შემდეგ სასურსათო გაწერა, ბოლოს „ნეპი“ – „სერიოზულად და დიდი ხნით“ (ლენინი) და ა.შ. მაგრამ სტალინმა „ფეხებზე დაიკიდა ყველანი“ და სისხლითა და მახვილით შეუდგა საკომანდო-ადმინისტრაციულ-პოლიციური სისტემის ჩამოყალიბებას. ტროცკი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ არც იგი იყო „წმინდანი“, მან ლენინთან ერთად ხელი შეუწყო პირველი „საკონცენტრაციო ბანაკები“ დაარსებას, ქვეყნის სამხედრო წესებზე მოწყობას, მკაცრი ადმინისტრირების დანერგვას, და ა.შ. რაც შემდეგ სტალინმა უმაღლეს დონეზე აიყვანა. სტალინმა თავისი ვერაგული, დაუშვებელი ავანტიურისტული მეთოდების შედეგად „გადააყირავა ტროცკი“, თუმცა მისი დაპატიმრება ვერ გაბედა და ჯერ ალმა-ათაში, შემდეგ კი თურქეთში გაასახლა. დადასტურებულია, რომ როცა ტროცკის ალმა-ათაში ასახლებდნენ, იგი მატარებელში ჩაჯდა და ლიანდაგებზე რამდენიმე ასეული მისი თანამზრახველი გაწვა და მატარებელი ვერ დაძრეს. დაურეკეს სტალინს. მან ბრძანა დაუყოვნებლივ დაეძრათ მატარებელი, თუნდაც ყველა გაეტანათ ასეც მოიქცნენ. მაშინ ლიანდაგებიდან ჯერ ერთი ადგა, შემდეგ სხვებიც მიყვნენ და ყველანი გაიკრიფნენ.

სტალინის ბრძანებით ყველა დააპატიმრეს და 1936 წელში, როგორც ტროცკისტები, ყველა დახვრიტეს. თურქეთიდან ტროცკი ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დაესახლა. ბოლოს მექსიკაში წავიდა და მისი ყოფნა მოსვენებას არ აძლევდა სტალინს, რომელიც შემდეგ ძალზე ნანობდა, რომ გაუშვა იგი. ტროცკის მსოფლიოში კვლავ დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, თუმცა იგი არ იყო დემოკრატი, მითუმეტეს ჰუმანისტი. შეიძლება მთელი დამაჯერებლობით ითქვას, ტროცკი რომ ყოფილიყო სტალინის მაგივრად, შესაძლოა უფრო სისხლიანი და შემაძრწუნებელი რეპრესიები ელოდა საბჭოეთის გასაცოდავებულ მოსახლეობას, რამეთუ მას ისე უყურებდა, როგორც „სამომხმარებლო ღირებულებას“ და მიზნის მიღწევის საშუალებას. მოსკოვის 1936-37-38 წლების სტალინის მიერ ჩატარებულ სასამართლოებს ტროცკი „ბოროტ მისტიფიკაციებს“ უწოდებდა, თუმცა არავინ იცის, თვითონ რომ ჩაეტარებინა, რას დაარქმევდა და როგორ დაუნდობლად მოიქცეოდა. იგიც ხომ „დათა თუთაშხიას“ იმავე ვირთხების კასრიდან იყო, სადაც ვირთხაჭამია ვირთხებს ზრდიდნენ. ხომ გახსოვთ ბიბლიიდან – „რასაც სხვას მიუწყავ – იგივე მოგეწყვებათო“ – ასე მოუვიდა ტროცკის, არ აპატია უფალმა დიდი ცოდვები, როცა ცარიცინსა, ყირიმში თუ სხვაგან 1917 წელში დაუნდობლად ჟლეტდა უდანაშაულო ადამიანებს... ტროცკის მთელი ოჯახი, ბოლოს თვითონაც, ფიზიკურად განადგურებულნი აღმოჩნდა. 1935 წელში დააპატიმრეს, ტობოლსკში გადასახლეს და იქ დაიღუპა ტროცკის პირველი მეუღლე ა.სოკოლოვსკაია. ამ ქალისგან პირველი ქალიშვილი – ზინაიდა ტუბერკულოზით დაავადდა და 30 წლისამ თავი გაზით მოიწამლა. მისი უმცროსი და ნინა – ასევე ტუბერკულოზით გარდაიცვალა. ტროცკის მეორე მეუღლე ნ.სედოვა მოკვდა 1962 წელში, დასაფლავებულია მექსიკაში. იგი აცდა რეპრესიებს, ვინაიდან მექსიკაში ცხოვრობდა ტროცკის მოკვლის შემდეგაც. ნ.სედოვამ ორჯერ მიმართა ხრუშჩოვს ტროცკის რეაბილიტაციის მიზნით. ხრუშჩოვი ამას როგორ გააკეთებდა, თვითონ ჰქონდა ხელები იდაყვებამდე სისხლში გასვრილი და არც უპასუხა. იგიც ხომ „დათა თუთაშხიას“ კასრის ერთ-ერთი „ვირთხა“ იყო. ტროცკის უფროსი ვაჟი (სედოვასგან) მოკვდა პარიზში 1938 წელში ნაწლავების გასკვნისაგან. უმცროსი ვაჟი სერგეი (ასევე სედოვასაგან), არ ეკარებოდა პოლიტიკას – ეშინოდა. მოსკოვში დარჩა და მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი გახდა. 1936 წელში იგი დააპატიმრეს, როგორც ტროცკის შვილი და 1937 წელში დახვრიტეს. ამჟამად მექსიკაში ცხოვრობს ტროცკის შვილიშვილი პირველი ცოლისაგან, ზინაიდას შვილი, ესტობან ვოლკოვი. ასე განსაჯა განგებამ ლევ ტროცკი ოქტომბრის გადატრიალებისას და შემდგომ სამოქალაქო ომში ჩადენილი დანაშაულობებისთვის, ხოლო თვითონ ხომ საშინელი და შემზარავი სიკვდილი ერგო!

ტროცკი მექსიკაში თავის მკაცრად დაცულ ვილაში ცხოვრობდა. მასთან ერთხელ სტუმრობა ითხოვა ვითომ მისმა მომხრემ ფრანგმა ჟაკ მორნარმა (რამონ მერკადერი). იგი ჟურნალისტი იყო და ზოგჯერ მის სტატიებს ტროცკიც კითხულობდა. მორნარს ვითომ შეუყვარდა ტროცკის თანამშრომელი ქალიშვილი და საბაბი მიეცა ხშირად მისულიყო ტროცკის ვილაში. 1940 წლის 20 აგვისტოს იგი მივიდა ვილაში მკლავზე გადაკიდებული ლაბადით. ძალზე ცხელი დღე იყო, მაგრამ ამ ფაქტისთვის არავის მიუქცევია ყურადღება. ამჯერად მან ტროცკის თავისი სტატია მიუტანა გასასწორებლად. ტროცკი დაჯდა მაგიდასთან და ის იყო დაიხარა სტატიის წასაკითხად, რომ ამ დროს ჟაკ მორნარმა (რამონ მერკადერმა) ალპინისტის წერაქვი ჩასცხო თავში. ტროცკიმ არაადამიანურად იყვირა – „ეს სტალინის მოწყობილია!..“ (ცხადია, არ ცდებოდა). მოცვივდნენ მცველები და რამონ მერკადერი დააპატიმრეს. ვილასთან ახლოს მას შავი ლიმუზინი უცდიდა, სადაც ისხდნენ სამნი – მერკადერის დედა კარიდადი, რამონის ძმა ლუისი და საბჭოთა ჯაშუშების რეზიდენტი მექსიკაში კოტოვი, ვინაც ეს ოპერაცია დაგეგმა. მკვლელობის აქტი არ ჩატარდა უხმაუროდ, როგორც გეგმავდნენ და მანქანა გაეცალა იქაურობას. გაიმართა სასამართლო და ფრანგ ჟაკ მორნარს (რამონ მერკადერი) 20 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. მან არ გაამხილა თავისი ნამდვილი ვინაობა და აქციის ორგანიზატორების გვარები, თუმცა პრესაში ხშირად გაისმოდა სტალინის ხსენება. იგი ამ ბოროტ საქმეში შინსახკომის მექსიკელმა აგენტმა ქალმა, მისმა დედამ – კარიდადმა ჩააბა, რისთვისაც ყოველნაირად სწყევლიდა მთელ სიცოცხლეში.

1940 წლის 24 აგვისტოს საკდესმა პატარა ცნობა გამოაქვეყნა „პრავდაში“, რომელიც დიდი ინტერესით წაიკითხეს კრემლში – სტალინის კაბინეტში, ლუბიანკაზე, ბერიას კაბინეტში და ერთ პატარა ბინაში მცხოვრები ემიგრანტის – ლუის მერკადერის (რამონის ძმა) ოჯახში, იმის შესახებ, რომ მექსიკაში ერთ-ერთ საავადმყოფოში თავის ქალის ჩატეხვის შედეგად გარდაიცვალა ლევ ტროცკი. ოთხი დღით ადრე კი სტალინს მოახსენებდა მისი №1 ინკვიზიტორი ბერია, რომ „პარტიისა და მთავრობის დავალება შესრულებულია პირნათლად“, რომ მექსიკაში თავის რეზიდენციაში კოიოკანში მოკლულია ლენინური გვარდიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მოღალატე ლ.ტროცკი. მოკლა იგი ხაიმე რამონ მერკადერმა“. მაგრამ „პრავდაში“ მკვლელის გვარი არ ეწერა. გენერალმა ორლოვმა – რუსი ჯაშუშების რეზიდენტმა მექსიკაში მკაცრი დავალება მიიღო – მოეწყო ტროცკის მკვლელობა, მაგრამ ორლოვმა ისიც გაიგო, რომ საბჭოეთში სტალინის „გილიოტინამ“ შინსახკომის მუშაკების თავების მოკვეთაც დაიწყო. იგი ამერიკაში გაიქცა და ტროცკის გამაფრთხილებელი წერილი მისწერა, მაგრამ ტროცკიმ არ დაუჯერა – პროვოკაციად მიიჩნია. ორლოვის საქმე კოტოვმა გააგრძელა და სისრულეში მოიყვანა, რისთვისაც მას მოსკოვში ლენინის ორდენი მისცეს, მაგრამ კოტოვმა ძალზე ბევრი საიდუმლო იცოდა და 1951 წელს დაიჭირეს და ციმბირში უკრეს თავი; კოტოვის ნამდვილი გვარია ნაუმ ეიტინგენი – ებრაელი. კოტოვის დახვრეტა სტალინმა ვერ მოასწრო – თვითონ გამოიძახა მიქელ-გაბრიელმა. ბერიამ კოტოვი გამოუშვა, მაგრამ ხრუშჩოვმა კვლავ დაიჭირა ბერიასთან კავშირისათვის... რითი არა ჰგავს ეს „დათა თუთაშხიას“ კასრში მოთავსებული ვირთხების ანალოგიას?

1961 წელში რამონ მერკადერი გაათავისუფლეს, იგი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა და მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს, ბინა მისცეს მოსკოვში.

1941 წელში კრემლში მოიწვიეს რამონის დედა კარიდადი და მას ტროცკის მოკვლის ორგანიზებისათვის ლენინის ორდენი გადასცა მიხეილ კალინინმა. ამაზე მეტი შემაძრწუნებელი აბსურდი და ამაზრზენი ცინიზმი წარმოუდგენელია! ლენინური გვარდიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის, წითელი არმიის შემქმნელის, მე-4 ინტერნაციონალის დამაარსებლის „რევოლუციის მენახევრის“ (ლენინი) და ა.შ. მოკვლისათვის – ლენინის ორდენი (ხომ არ დაგავიწყდათ „დათა თუთაშხიას“ ვირთხებიანი კასრი)? გარდა ამისა, ბერიამ კარიდადს გაუგზავნა საჩუქარი – ერთი ყუთი 1907 წლის ჩამოსხმის ქართული ღვინო „ნაფარეული“, რომლის ეტიკეტებზე იყო მეფის რუსეთის ორთავიანი არწივი.

როცა 1905 წლის ავანტიურისტული რევოლუცია კრახით დამთავრდა და ზღვა სისხლი დაიღვარა, გ.პლეხანოვმა განაცხადა, რომ ბოლშევიკებს არ უნდა აეღოთ იარაღი და რომ რუსეთში ჯერ არ დაუფქვავთ ისეთი ფქვილი, რომლისგანაც სოციალისტური რევოლუციის ხაჭაპური გამოცხვებოდაო“. ამაზე ლენინმა გაღიზიანებით უპასუხა: „პირიქით, მეტი მონდომებით უნდა აგვეღოო“. ხალხის სისხლი მათთვის რა ანგარიშში ჩასაგდები იყო. ხალხი საშუალება იყო მიზნის მისაღწევად – ხელისუფლების ჩასაგდებად, და არა მიზანი. ამ საქმეს ემსახურებოდა ლ.ტროცკიც, რომელიც კასრის ვირთხასავით შეჭმული აღმოჩნდა – ერთი რომ დარჩენილიყო დიქტატორად და დარჩა კიდეც ერთი. ასეთი იყო ბოლშევიკური პარადიგმა.

ანდრო ქოჩიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



*90 წელი შესრულდა ცნობილი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დიმიტრი ლემონჯავას დაბადებიდან.*

*დიმიტრი მიხეილის ძე ლემონჯავა დაიბადა 1907 წელს ზუგდიდის მაზრის (დღევანდელი ჩხოროწყუს რნი) ს. ზუმში.*

*დ. ლემონჯავა სწავლობდა და დაამთავრა მუხურის სკოლა, წალენჯიხის უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებელი (1918–1922), ზუგდიდის ჰუმანიტარული ტექნიკუმი (1922–1925), სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი (1936–1940).*

*დ. ლემონჯავა მუშაობდა ს. ზუმში დაწყებითი სკოლის მასწავლებლად (1926), სოხუმის საღამოს მოზრდილთა I საშუალო სკოლაში (1936–1937), სოხუმის მუსიკალურ ტექნიკუმში (1938), სოხუმის სამედიცინო სასწავლებელში (1939), წალენჯიხის საშუალო სკოლის დირექტორად და განათლების განყოფილების ინსპექტორად, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ კი უნივერსიტეტში ლაბორანტად, ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად (1940 წლიდან გარდაცვალებამდე).*

*დ. ლემონჯავა 1927 წელს პოლიტიკური მოღვაწეობისთვის (ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრობა, [illegible] საქმიანობა) დააპატიმრეს, დამწყვდეული იყო წალენჯიხის, ზუგდიდის, მეტეხის ციხეებში, შემდეგ კი გაუსამართლებლად გადაასახლეს რუსეთში. სასჯელს იხდიდა ჯერ პენზაში (3 წელი), შემდეგ კი ვორონეჟში (3 წელი). გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას, უთვალთვალებდნენ და ავიწროებდნენ.*

*დ. ლემონჯავა ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. დაიცვა საკანდიდატო (1951 წ.) და სადოქტორო (1970 წ.) დისერტაციები. იკვლევდა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და გლეხობის კლასობრივი ბრძოლის საკითხებს. მან მონოგრაფიულად შეისწავლა სამეგრელოს 1856–1857 წლების გლეხთა აჯანყება, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ბატონყმური წყობილების რღვევისა და კრიზისის პერიოდში საქართველოში (1830–1860 წლები).*

*დ. ლემონჯავას გამოქვეყნებული ჰქონდა 60-ზე მეტი ნაშრომი საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მათ შორის 4 მონოგრაფია, სპეცკურსი-სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.*

*დ. ლემონჯავამ მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის არქივებში, სიძველეთსაცავებში გამოავლინა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ახალი დოკუმენტები. მას დარჩა ბევრი გამოუცემელი ნაშრომი.*

*დ. ლემონჯავა ათწლეულების მანძილზე ასწავლიდა სტუდენტებს საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიას (საბჭოთა პერიოდამდე), სპეცკურსს საქართველოს ისტორიაში.*

*დ. ლემონჯავა აქტიურ საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდა, იყო საზოგადოება „ცოდნის", საისტორიო საზოგადოების წევრი, კითხულობდა საჯარო ლექციებს.*

*დ. ლემონჯავას ჰქონდა უნიკალური ბიბლიოთეკა, მდიდარი არქივი, ხელნაწერები... ეს ყველაფერი მტრისაგან დაპყრობილ სოხუმში დარჩა.*

*დ. ლემონჯავა გარდაიცვალა 1993 წ. და დაკრძალულია მშობლიურ სოხუმში.*

# ...ეს კაცი ლავრენტი ბერია აღმოჩნდა

**ვაქვეყნებთ დიმიტრი ლემონჯავას მოგონებას, რომელიც შეეხება ამ საუკუნის 20–30-იანი წლების პოლიტიკურ ცხოვრებას, კომუნისტურ რეჟიმთან მებრძოლი ქართველი ახალგაზრდების თავგადასავალს.**

**მოგონება 1990–1992 წლებში ჩაიწერა ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის მეცნიერ მუშაკმა — ანზორ სიჭინავამ.**

**წალენჯიხის** უმაღლეს-დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ზუგდიდის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. იქ ვსწავლობდი 1922-1925 წლებში. ზუგდიდში მაშინ თავმოყრილი იყო ახალგაზრდობა სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან და არა მარტო სამეგრელოდან. მასწავლებლებსა და მოწაფეებში ძლიერი იყო ანტიკომუნისტური განწყობილება. ამიტომაც მიიღო აქ 1924 წლის განმათავისუფლებელმა აჯანყებამ ფართო ხასიათი. აჯანყებულებმა შეძლეს მთელ მაზრაში რამდენიმე დღით ხელისუფლების მოპოვება.

აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თითქმის ყველა სოფლის და დასახლებული პუნქტის, ყველა ფენისა და წოდების წარმომადგენლები. აჯანყება სასტიკად ჩაახშვეს მხოლოდ რუსეთის ჯარის ნაწილების გამოყენებით. მახსოვს, მაშინ გავრცელდა ხმები, რომ ზუგდიდში ცოცხლად დამარხეს აჯანყების მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

აჯანყების დამარცხების შემდეგ დაიწყო რეპრესიები. ანტიკომუნისტური პარტიები ფარულად მოქმედებდნენ. ზუგდიდის ციხესთან შენგელიას სახლში სტამბა იყო, სადაც პროკლამაციები იბეჭდებოდა. ნაბეჭდს მოწაფეები ვავრცელებდით. ერთი იმდროინდელი ხელნაწერი პროკლამაცია დღემდე შემომრჩა. ესაა ნოე ჟორდანიას მიერ საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილი დემოკრატიაზე, ჩვენი გადაწერილი. გადასახლების წლებში, მამისეულ ეზოში, ვენახში მიწაში ჩამარხული ქოთნით შევინახე (მაჩვენა საწყისი ფურცლებდაზიანებული ხელნაწერი. ტექსტი შემდეგ გამოაქვეყნა ჟურნალმა „რიწამ"). ბევრი საბუთი გავანადგურე, დავწვი.

მაშინდელ ზუგდიდში ჩამოდიოდნენ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელები, მახსოვს ტროცკის ჩამოსვლა...

ჩვენ „ახალგაზრდა მარქსისტთა" ორგანიზაციაში ვიყავით, კომკავშირს ვუპირისპირდებოდით. ზუგდიდში ჩამოვიდა ბორის ძნელაძე, შეხვდა ახალგაზრდებს, მაგრამ არ მიიღეს და გააქციეს. მაშინ კომკავშირს არ თანაუგრძნობდნენ.

ჩვენ, ახალგაზრდები, ფარულად ვავრცელებდით ანტიკომუნისტურ პროკლამაციებს, მოწოდებებს, ლიტერატურას.

დამიჭირეს 1927 წლის თებერვალში ჩემს სახლში, ს. ზუმში. ვიღაცამ დამასმინა, ეტყობა, რადგან ჩეკისტებმა მიაგნეს საწოლქვეშ საგულდაგულოდ დამალულ (ქვემოდან მქონდა საწოლზე მიმაგრებული) პროკლამაციებს და ორგანიზაციის კრების ოქმს. ჩემი არ არის-მეთქი, ვთქვი, მაგრამ მაინც წამიყვანეს. მაშინ უშიშროების სამსახური ძლიერი იყო და ყველას უთვალთვალებდნენ.

მახსოვს, დაპატიმრებამდე თბილისში მივემგზავრებოდი. სენაკში გათხოვილი მამიდა ვინახულე. ბიძამ, მამიდის ქმარმა, გრიშა აფხაზავამ არ გამიშვა, სუფრა გამიშალა, სტუმრებიც ჰყავდა. პირველად სტალინის სადღეგრძელო ითქვა. როგორც სტუმარს, პირველად მე გადმომილოცეს ყანწი. არ დავლიე სტალინის სადღეგრძელო.

— ახალგაზრდა კაცი ბელადის სადღეგრძელოს როგორ არ სვამო,

— აღშფოთდნენ სუფრის წევრები.

— მოწაფე ვარ, ბატონო, და არ ვსვამ-მეთქი, ვუპასუხე.

ბიძაჩემმაც დამიცვა.

. ასე გადავურჩი ამ სადღეგრძელოს დალევას. ეს შემთხვევა დაპატიმრების შემდეგ მეტეხის ციხეში შემახსენეს ჩეკისტებმა: გახსოვსო, სენაკში რომ სტალინის სადღეგრძელო არ დალიეო?

ასეთი იყო მაშინდელი ჩეკა.

სახლიდან სამმა მუხურელმა კაცმა წალენჯიხაში წამიყვანა. იქიდან ზუგდიდის ციხეში გადამიყვანეს. ჯინჯოლია იყო ჩეკას უფროსი. გამომძიებელი, პატარა ტანის კაცი, გვარად კუტალია, მაგიდას ძლივს წვდებოდა, მიყვიროდა, მაგინებდა. ამ დროს ვიღაც კაცი შემოვიდა და კუტალიას უთხრა: შენ რა გაყვირებსო, ახალგაზრდას წესიერად ელაპარაკეო, გარეთ გაავდო, თვითონ დაჯდა და პაპიროსი მომაწოდა. მე არ ვეწევი-მეთქი — ვუთხარი.

ეს კაცი ლავრენტი ბერია აღმოჩნდა. ჯერ დამიყვავა, წესიერად მელაპარაკა, მერე მანაც ხმას აუწია.

ჯინჯოლიამ უთხრა ბერიას ჩემზე: ეს მეორე წულუკიძეაო. ბერიამ მკითხა, რა გაწუხებთ ახალგაზრდებს, ვის ეჩხუბებითო!

— ბატონო, ოთხ კედელს შუა მოთავსებულ ადამიანს არ ეკითხებიან, რა გაწუხებთო. გაგვიშვით გარეთ და იქ ვილაპარაკოთო — ვუპასუხე (მაშინ ახალგაზრდა ვიყავი...).

ჯინჯოლიამ შესძახა: აი როგორ იქცევაო, ბატონო!

ბერიამ უთხრა: იქ გამოგზავნეთ, თბილისშიო.

ზუგდიდის ციხეში პატარა ოთახში ვიყავით მოთავსებული. ვერ დავჯდებოდი, ვერ დავწვებოდი.

ზუგდიდში დაპატიმრებული ჰყავდათ ს. კირცხიდან ჯალაღონია, ძალიან განათლებული კაცი. ციხეში თარგმნა პლეხანოვის „ჩვენი უთანხმოებანი". ის მერე დახვრიტეს.

ზუგდიდიდან მეტეხის ციხეში გადაგვიყვანეს. სულ 30 კაცი წაგვიყვანეს, მათ შორის ხუთნი ტექნიკუმიდან ვიყავით. ოცდაათიდან ათი გადაგვასახლეს.

ჩემთან ციხეში იყვნენ ილია კაკაჩია, ამირან ჩაჩიბაია, ანჯაფარიძე — ვერიკო ანჯაფარიძის ძმისშვილი... მათი სურათები მაქვს (სამწუხაროდ, ეს სურათები დ. ლემონჯავას მდიდარ არქივთან ერთად სოხუმში დარჩა. ა.ს.). საინტერესო იყო ციხეში ცხოვრება, განათლებული ხალხი, პოლიტიკური მოღვაწეები — ეს ერთგვარი პოლიტიკური სკოლა იყო.

ციხის ადმინისტრაცია, უშიშროების გამომძიებლები გვემუქრებოდნენ: თუ არ დაგვემორჩილდებით, ამ ცას ვერ ნახავთო.

ჩვენ, ახალგაზრდები, იმედიანად ვიყავით განწყობილნი და ვპასუხობდით: მაგას სასამართლო პროცესზე ვნახავთო და ეს ცაც ჩვენი იქნებაო. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ სასამართლოზე მოგვეცემოდა სიტყვის თქმისა და თავდაცვის საშუალება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა: გაუსამართლებლად გადაგვასახლეს რუსეთში.

გადასახლების საკითხს თბილისში სამეული წყვეტდა. ჯერ 3 წლით ასახლებდნენ. სამი წლის შემდეგ გადასახლებულს ეკითხებოდნენ, გააგრძელებდა თუ არა წინანდელ საქმიანობას. თუ ჩეკა დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებდა, გადასახლების ვადას კიდევ სამი წლით აგრძელებდნენ. მეტეხის ციხიდან პენზაში გადაგვასახლეს ხუთნი. ოთხი მათგანი სურათზეა.

თბილისიდან გვაცილებდა უშიშროების თანამშრომელი. ჩვენი პირადი საქმეები მას მიჰქონდა.

პენზაში უშიშროების კომიტეტში მიგვიყვანეს. იქაური თანამშრომელი კეთილი კაცი აღმოჩნდა. ჩვენს თბილისელ გამცილებელს ჰკითხა: ვინ ჩამოგიყვანიათ ესენიო?

ქართველმა ჩეკისტმა უპასუხა: ახალგაზრდა მარქსისტები არიანო.

პენზელმა არ იცოდა „ახალგაზრდა მარქსისტები" რა ორგანიზაცია იყო (ჩვენ პენზაში, ვორონეჟში გადასახლებისას „გრუზმეკებს" — ქართველ მენშევიკებს გვეძახდნენ).

პენზელმა ჩვენს თბილისელ გამყოლს უსაყვედურა, ასეთ ახალგაზრდებს, ბავშვებს იქ ვერ მოუვლიდითო, ამათ აქ, ამ სიცივეში როგორ უნდა გაძლონო? შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა და გვითხრა: სად გინდათ რომ გაგანაწილოთო?

ჩვენგან პასუხობდა ანჯაფარიძე: (ვერიკო ანჯაფარიძის ძმისშვილი, ის იქ დარჩა, რუსი შეირთო ცოლად) „ჩვენ რა უნდა გითხრათ, ჩვენ სამშობლოში გვინდა, მაგრამ რა ვქნათ, აქეთ წამოგვიყვანეს, თქვენ სადაც გადაგვიწვეტთ, იქ წავალთო).

უშიშროების პენზელმა თანამშრომელმა გვკითხა: ქალაქში რომ დაგტოვოთ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებითო (თქვა: ეს ბავშვები სხვაგან ვერ გაძლებენო).

ჩვენ ასეთ შემოთავაზებაზე რა გვეთქმოდა, დავთანხმდით. გაგვაყოლეს უშიშროების თანამშრომელი, რომელსაც უბრძანეს, სასტუმროში წავეყვანეთ.

მიგვიყვანეს სასტუმროში, რომელიც ადრე კერძო პირს ეკუთვნოდა თურმე. ამ „ნაციონალიზებული" სასტუმროს ერთ ოთახში მოგვათავსეს ხუთივე. სამი წელი იქ ვცხოვრობდით.

იქაურ მოსახლეობას ვებრალებოდით. პურს, შაქარს, ხორცს მაღაზიაში ნისიად გვაძლევდნენ.

ვმუშაობდით რკინის საწყობში. ვეზიდებოდით, ვტვირთავდით რკინას. აკრძალული გვქონდა ქარხანაში მუშაობა (მუშებთან კავშირს დაამყარებენო), ქალაქიდან გასვლა.

ყოველ კვირას უშიშროების კომიტეტში უნდა გამოვცხადებულიყავით, დაგვკითხავდნენ, შევიცვალეთ თუ არა აზრი და ვდგევართ თუ არა საბჭოთა პოზიციაზე...

პენზაში სამი წელი გავატარეთ. იქ ყოფნის დროს ვერიკო ანჯაფარიძის თეატრი ჩამოვიდა. სპექტაკლს ჩვენც დავესწარით, ბილეთები ძვირი იყო.

სახლიდან 15 მანეთს გვიგზავნიდნენ. ყოველთვიურად ხელფასიც გვქონდა.

სამი წლის შემდეგ თავისუფალ გადასახლებაში გვგზავნიდნენ. აგვარჩევინეს შემოთავაზებული ქალაქებიდან ერთ-ერთი დიდ ქალაქებში ჩვენი დასახლება აკრძალული იყო, არც კავკასიაში ცხოვრების უფლებას გვაძლევდნენ.

ჩვენ ვორონეჟი ავირჩიეთ. ქალაქზე რკინიგზა გადადიოდა და ეგებ სამშობლოდან ვინმე ვნახოთო.

თავისუფალ დროს რკინიგზის სადგურში მივდიოდით ვინმე ჩვენებურის ნახვის იმედით. ბედმა გამიღიმა, მატარებელში ვნახე ტარასი ცხადაია. მე მის ძმას, თედორეს, ვიცნობდი ზუგდიდის სასწავლებლიდან. ტარასი მოვიდა ჩვენთან, ქართველებთან, ვისაუბრეთ. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვესაუბრებოდით თავისუფალ ქართველ კაცს.

მერე ვორონეჟში მამამ მინახულა...

გადასახლებაში ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა გადაგვატანინებდა გასაჭირს, ოჯახისაგან, სამშობლოსაგან მოშორებას.

ვორონეჟში ჩვენი ყოფნის დროს გადასახლებული იყო გრიგოლ ლორთქიფანიძე — დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და სამხედრო მინისტრი. ის ჟორდანიას მთავრობას უცხოეთში არ გაჰყოლია, აქ დარჩა. მთელი ცხოვრება ციხეებსა და გადასახლებებში ჰქონდა გატარებული. ცოლ-შვილიც ვორონეჟში ჰყავდა. უაღრესად განათლებული და პრინციპული კაცი იყო. ჩვენ, ახალგაზრდებს, გვარიგებდა, გვასწავლიდა, გვირჩევდა სამშობლოში დაბრუნებას, ქვეყანას უნდა გამოადგეთო (ზოგიერთი გადასახლებული იქ რჩებოდა). საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა მის გადაბირებას, მაგრამ ამაოდ. გადასახლებაში ყოფნისას საქართველოში ჩამოუყვანია ხელისუფლებას, აი, როგორ ქვეყანას ვაშენებთო. გრ. ლორთქიფანიძეს უნდა მოეწონებინა საბჭოთა საქართველო და განეცხადებინა ეს საჯაროდ, რაც მან არ გააკეთა და ისევ დააბრუნეს გადასახლებაში. ამაზე იმდროინდელ გაზეთში ეწერა. სურათზე ჩვენთან, გადასახლებულებთან შუაში რომ ზის, გრიგოლ ლორთქიფანიძეა (სურათს ვაქვეყნებთ აქვე. ა.ს.).

გადასახლებაში გავიცანი ალექსანდრე დგებუაძე (სურათზე ჩემს გვერდით დგას), ცნობილი მოღვაწე, მწიგნობარი. წიგნის სიყვარული მან ჩამინერგა...

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ (1933 წ.) ერთხანს მშობლებთან, ს. ზუმში ვიყავი, შემდეგ კი გადავწყვიტე სწავლის გაგრძელება სოხუმში. იქაც მითვალთვალებდნენ.

ჩემი პირადი საქმე ვორონეჟიდან აქ გადმოუგზავნიათ, ჯერ წალენჯიხაში, მერე სოხუმში.

სოხუმში დამიბარეს ჩეკისტებმა. ამიყვანეს II სართულზე. იქ დამხვდა ჩემი პირადი საქმე.

დამიწყეს დაკითხვა, თავაზიანად მეპყრობოდნენ. ბოლოს მითხრეს: ჩვენ დაგეხმარეთ, გაგათავისუფლეთ და ახლა თქვენც უნდა დაგვეხმაროთო, ჩვენთან უნდა ითანამშრომლოთო.

მე უარი ვუთხარი, სტუდენტი ვარ და უნდა ვისწავლო-მეთქი. გამომიშვეს. ამის მერე სულ მითვალთვალებდნენ.

ინსტიტუტში ტარასი ცხადაია მეხმარებოდა (ის პარტორგი იყო) მეუბნებოდა, ფრთხილად იყავიო. მეც ყველაფერს ვასრულებდი. პროფკავშირში ვმუშაობდი. კურსზე მამასახლისი ვიყავი. ყველა ხელს მიწყობდა. ამ წიგნითაც მაშინ დამაჯილდოვეს (მაჩვენა კრებული „ლენინ-სტალინი" წარწერით. ა.ს.). ეს რომ არა, 37-ს ვერ გადავურჩებოდი.

1940 წ. ჩემთან სწავლობდა ჭითანავა (ვიცოდი შინსახკომში მუშაობდა). ის საიდუმლოდ მეუბნება: თქვენი პირადი საქმე მე მქონდა, ახლა ჯარში მივდივარ და სხვას გადავაბარეო. სტუდენტობის წლებში მე გითვალთვალებდი, ახლა სხვაა და ფრთხილად იყავიო.

ის ჯარში წავიდა და არ დაბრუნებულა.

ომის წლებში წალენჯიხაში ვმუშაობდი. იქაც მეთვალყურე მყავდა მიჩენილი. სკოლის დირექტორად რომ დამნიშნეს, მეთვალყურემ რაიკომში იჩივლა, ასეთ კაცს დირექტორად როგორ ნიშნავთო.

ომისშემდგომ დისერტაციაზე ვმუშაობდი. თბილისში, ცენტრალურ არქივში სამუშაოდ არ დამიშვეს: თქვენზე საჩივარია სოხუმიდან, ჩვენი ქვეყნის მტერია და არქივში როგორ დაუშვებთო.

მაშინ განათლების მინისტრი იყო ვიქტორ კუპრაძე. მასთან შევედი, ავუხსენი ვითარება და ვთხოვე დახმარება. კუპრაძემ გამიგო, დამამშვიდა და ნება დამრთო არქივში მემუშავა, თან მითხრა: ამქვეყნად ნურაფერი გაგიკვირდება, სანამ ადამიანები იარსებებენ, შურიანები და ბოროტები არ გამოილევიანო...

ამის შემდეგ დისერტაციაც დავიცავი, პროფესორიც გავხდი, ათეულობით წელი გავიდა, მაგრამ ახალგაზრდობის გატაცებებს, იმ წლებს რა დამავიწყებს. გადასახლებაში გადაღებულ ამ სურათებზე გამოსახულთაგან ბევრი საქართველოში ვერ დაბრუნდა, აქ ჩამოსულთაგან დღეს, მგონი, ცოცხალი არავინაა.

ამ რეჟიმმა ბევრი მამულიშვილი შეიწირა, ბევრს ცხოვრება გაუუკუღმართა...



ეს სურათი გადაღებულია 1930 წლის 16 ივლისს ქალაქ ვორონეჟში, მასზე მარცხნიდან მარჯვნივ გამოსახულნი არიან აქ გადასახლებაში მყოფი ქართველები: ნიკოლაიშვილი დათიკო, ყაჭიაშვილი ვარდენ, ვერულაშვილი ვალიკო, ჩაჩიბაია ამირან, კაკაჩია ილია, ლორთქიფანიძე გრიგოლ, კვაჭაძე ელენე, კვაჭაძე ბენო, ბეჟუნაშვილი მიხაკო, ალანია არსენ, ჭანტურია ბუცა, მამაგეიშვილი გრიშა, აბესაძე შოთა, გოგიბერიძე კოსტა, ჩუბინიძე ვანო, გველესიანი დათიკო, კურცხალია მიშა, მუხაშავრია დომენტი, დგებუაძე ალექსანდრე, ლემონჯავა დიმიტრი, ზაქარეიშვილი თევდორე, ნაკაშიძე კოლია.

სურათი ქვეყნდება პირველად

## გერმანია საქართველოს ეხმარება

1993 წლიდან დღემდე გერმანიის მთავრობამ საქართველოს 167,1 მლნ მარკის ოდენობის დახმარება გაუწია, მათ შორის 140,5 მლნ მარკა ფინანსური თანამშრომლის ფარგლებში გამოყო, ხოლო 26,6 მლნ მარკა - ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში.

აღნიშნული 140,5 მლნ-დან 7,5 მლნ მარკა გრანტების სახით გაიცა, ხოლო დანარჩენი - გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების სახით. მათი დაბრუნება საქართველომ 40 წლის შემდეგ უნდა დაიწყოს, ხოლო კრედიტების პროცენტული დანარიცხი წლის განმავლობაში 0,75 %-ს შეადგენს. გერმანული ინვესტიციების ყველაზე დიდი რაოდენობა - 126 მლნ მარკა საქართველოს ენერგოსისტემაში ჩაიდო, 7 მლნ მარკით კი სოფლის მეურნეობის კერძო სექტორის 33 პროცენტი დაფინანსდა. (გეა)

## ვანელები ტელესერიალებს ბიუჯეტის შესრულების შემდეგ ნახავენ

21 დღეა, რაც ვანს ახალი გამგებელი ჰყავს. 12 დეკემბერს ჟურნალისტებთან შეხვედრისას აკაკი კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ უპირველეს ამოცანად წლის ბიუჯეტის შესრულება ესახება. თუ ახალ წელს ვალის გარეშე ვერ შეხვდებიან, მეოთხე კვარტლის ბიუჯეტს აუცილებლად შეასრულებენ.

1997 წელი ვანისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა: დაეცა წარმოების ზრდის ტემპი, ცუდი მდგომარეობა იყო ვაჭრობაშიც. ვერ მოინახა ინვესტორი ვანში არსებული სამი ღვინის ქარხნის ასამუშავებლად. მიმდინარე წელს მათ ერთი კილოგრამი ყურძენიც არ მიუღიათ. ამ ქარხნების ამოქმედება კი ვანის წლიურ ბიუჯეტს 74%-ით შეასრულებდა.

ვანის გამგებლის განცხადებით, თუ წლის ბოლომდე წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები შესაბამის დასკვნებს არ გამოიტანენ, ამოქმედდება გაკოტრების მექანიზმი. ასე რომ, 1998 წელი ბევრისათვის შეიძლება ძალზე მძიმე აღმოჩნდეს.

მძიმე მდგომარეობაა შექმნილი სოციალურ სფეროში. შარშან ვანში დასაქმებული იყო 339 ადამიანი. წელს კი - 188. გაუცემელია 4 თვის პენსიები. ივნისის თვიდან არ დარიგებულა საოჯახო დახმარება, პედაგოგებს კი 6 თვეა ხელფასი არ მიუღიათ. ამიტომ, როგორც თვითონ აცხადებს, აკაკი კოპალეიშვილისთვის ყველაზე მძიმე დღე ორშაბათია - მოქალაქეთა მიღების დღე.

ვანის გამგებელმა კაბინეტური მუშაობა მოსახლეობასთან შეხვედრებით შეცვალა. ამას წინათ მედიცინის მუშაკებთან შეხვედრაზე მან ექიმებს ჰიპოკრატეს ფიცი შეახსენა, პოლიკლინიკა კი მუდმივი ელექტროენერგიით უზრუნველყო. შედეგმაც არ დააყოვნა: ადგილობრივ ექიმებს პაციენტები დაუბრუნდნენ, რომლებიც ადრე ქუთაისის საავადმყოფოებს აკითხავდნენ.

ამჟამად ვანის მოსახლეობას ელექტროენერგია 22 სთ-დან 9 სთ-მდე მიეწოდება. დილით „ალიონის" ნახვის შესაძლებლობა მაინც მიეცათ, რითაც თანდათან გამოდიან ინფორმაციული ვაკუუმიდან. ტელესერიალების ნახვას კი გამგებელი ბიუჯეტის შესრულების შემდეგ პირდება. 4 წელია, რაც რაიონს სასმელი წყალი არ მიეწოდება, ამჟამად წყალსადენის აღდგენაზე მუშაობენ და მომავალი წლიდან ვანელებს ეს პრობლემაც მოეხსნებათ.

აკაკი კოპალეიშვილი 10 იანვრამდე აპირებს კაბინეტის გადახალისებას. იმედია, საკადრო ცვლილებები ვანში ამჯერად ჩვეული დაპირისპირებების გარეშე განხორციელდება. როგორც კოპალეიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, არ მისტირის თბილისში დატოვებულ საკმაოდ მაღალ თანამდებობას. „პრეზიდენტმა მთხოვა და ჩემი გამოცდის ჯერიც დადგა" - ასე ახსნა აკაკი კოპალეიშვილმა ვანში გამგებლის თანამდებობაზე მოსვლა. (გეა)

# „კისრისტეხით გამოვრბივართ იქიდან, საითკენაც მივრბივართ"

## „სახალხოს" წინასაარჩევნო სტარტი?

საქართველოში არსებულმა ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ბოლო პერიოდში შესაშური აქტიურობა დაიწყო, ზოგი თავის სამოქმედო არეალს ეკონომიკის სფეროში აფართოებს, ზოგი საგანმანათლებლოში, ზოგი საქართველოდან ჩამოჭრილი ტერიტორიების დაბრუნებასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას ქადაგებს, ზოგიც - საერთოდ არაფერს აკეთებს და დანარჩენების კრიტიკით იწერს ქულებს.

ასეა თუ ისე, ყველასათვის ცხადია, რომ ეს გააქტიურება მოახლოებული არჩევნებისათვის მზადებას უკავშირდება.

დღეს წინასაარჩევნო სტარტი „სახალხოელებმა" აიღეს, რომელთაც თბილისის ბიუროს კონფერენციაზე ხმამაღლა განაცხადეს არჩევნებში გამარჯვების პრეტენზია და აღნიშნეს, რომ უნდა მიიღონ კუთვნილი ადგილი ხელისუფლებაში, რასაც საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობის აუცილებელ შედეგად თვლიან.

„სახალხოელები" იწყებენ იმ ხალხის ძებნას, ვინც პროპაგანდას გაუწევს მათი პარტიის ხედვას და დაღუპვის პროგნოზს უკეთებენ ყველა პოლიტიკურ ძალას, ვინც არაა დაინტერესებული არჩევნებში გამარჯვების მოპოვებით.

„სახალხო პარტიის" თბილისის ბიუროს კონფერენცია რიცხემრავლობით გამოირჩეოდა, თანაც იმდენად, რომ კონფერენციისთვის დათმობილი საპარლამენტო სხდომათა დარბაზიც არ ეყოთ და მთავრობისა და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილ ლოჟებში მოკალათდნენ პარტიის წევრები.

ერთმა დეპუტატმა ნახევრად ხუმრობითაც კი წაიოცნება: „წარმოვიდგინე, თითქოს ეს ხალხი პარლამენტის სადეპუტატო კორპუსს წარმოადგენდა და სრულ უმრავლესობას ჩვენ შევადგენთო".

სამომავლოდ „უმრავლესობა" ვინ იქნება, ამას ცხოვრება გვიჩვენებს, დღეს კი „უმცირესობამ", ანუ მმართველი ძალის ყველაზე აქტიურმა ოპოზიციამ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა პარტიის ხედვა.

მამუკა გიორგაძემ გახსნა კონფერენცია და საკუთარი თანაპარტიელის სიტყვები გაიმეორა: „კისრისტეხით გამოვდივართ იქიდან, საითკენაც მივრბივართ". გიორგაძის განცხადებით, დღევანდელი პოლიტიკის სტილი არაფრით განსხვავდება კომუნისტური მენტალიტეტისაგან, გარდა იმისა, რომ კანონებსა და კოდექსებს ეცვლებათ სახელები, შინაარსი კი იგივე რჩება, რაც „საბჭოთა საკანონმდებლო ბაზის დაკონსერვებას ნიშნავს". გიორგაძე თვლის, რომ ხელისუფლების გადანაწილების კლასიკური პრინციპი დამღუპველია საქართველოსთვის და არ არსებობს მექანიზმი იმისა, რომ ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს და „თეორიულ სიტყვიერ ჟონგლიორობაზე გადადის".

გიორგაძის განცხადებით, დღევანდელი პოლიტიკური პრობლემები ბიუჯეტშიც ნათლად ჩანს, რაც უფრო ზრდის უფსკრულს მმართველ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის, რადგან ეს ბიუჯეტი „ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა სიცოცხლის გარანტიებს".

მამუკა გიორგაძის აზრით (ეს მთელი პარტიის აზრიცაა), ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ თვითმმართველობის დამკვიდრებას შეეძლო, მაგრამ ხელისუფლებას არჩეული გამგებლებისა და მერების შეეშინდა და შექმნა ისეთი კანონი, რომელიც დააბალანსებდა მერსაც და გამგებელსაც.

პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წევრის, ვანო ხუხუნაიშვილის თქმით, დანიშნვითი ადმინისტრაცია მემკვიდრეობად ერგო ქვეყანას და ადგილობრივი „თვითმმართველობისა და მმართველობის კანონის" საშუალებით მართველ ხელისუფლებას გზა გაეხსნა საკუთარი მიზანდასახულობის გასახორციელებლად. „უბედურების სათავე ისაა, რომ ამ კანონით არაა გამიჯნული თვითმმართველი და მმართველი ორგანოების ფინანსები და საბიუჯეტო ფუნქციები. როცა მმართველ ორგანოს ეძლევა უფლება ჩაერიოს თვითმმართველობის მუშაობაში, ეს უკანასკნელი აზრს კარგავს" - აცხადებს ხუხუნაიშვილი.



რაც შეეხება ორი დღის წინ მოსმენილ კანონპროექტს „თბილისის შესახებ", ხელისუფლებამ არც აქ გამოიჩინა სამოქალაქო და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის აუცილებელ ღონისძიებათა ინიციატივა, თუმცა „სახალხოელები" თვლიან, რომ საკრებულოების პროპორციული წესით არჩევა მაინც სჯობს, ვიდრე მაჟორიტარული წესით არჩევნების ჩატარება. „სახალხო პარტიამ" მწვავედ დააყენა საკითხი, რომ არჩეული საკრებულოს წევრები პროფესიონალი პოლიტიკოსები ყოფილიყვნენ, რომლებიც ყოველგვარი სხვა საქმიანობისგან გათავისუფლდებოდნენ და მათ მოხმარებოდათ ადგილობრივი ბიუჯეტის 3% ხელფასებისთვის, მაგრამ „უმრავლესობა" აქაც წინააღმდეგი წავიდა.

პარტიის წევრი, დეპუტატი, თენგიზ შარმანაშვილი თვლის, რომ ნებისმიერ ბიზნესმენს უნდა მიეცეს საშუალება მოვიდეს პოლიტიკაში, ნებისმიერ წარმომადგენლობით ორგანოში, გარდა პარლამენტისა.

უმთავრესი აქცენტი კი პარტიის მიერ უკვე კარგა ხნის წინ აღებულ კურსზე - დევნილების ბედზე გაკეთდა. პარტიის თავმჯდომარემ, მამუკა გიორგაძემ კიდევ ერთხელ დააყენა ეჭვქვეშ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ფუნქცია და აღნიშნა, „ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა დევნილთა გააქტიურება იწყება მიტინგების ან რაიმე შეკრების მიზნით, მას არ შეუძლია რაიმე ააშენოს. ეს ხელისუფლება არაა პოზიტიური, მას მხოლოდ რაიმეს დაშლა შეუძლია".

გამოსავალს „სახალხო პარტია" ისევ რუსეთთან ურთიერთობების საბოლოოდ გარკვევაში ხედავს, რომელსაც, გიორგაძის სიტყვით, არარსებული თანამეგობრობის მანდატით სურს საკუთარი გავლენის ქვეშ მოგვაქციოს. მთავარი საფრთხე, მისი თქმით, ის კი არაა, რომ რუსეთს თვითონ საქართველოს ინტერესი აქვს, მთავარია ის უბედურება, რომ მას საქართველოში სამხედრო ბაზების ინტერესი გააჩნია, რაც მთელი რეგიონის სტაბილიზაციას უქმნის საფრთხეს.

ინგა ბრიგოლია, გეა

## „საერთაშორისო ამნისტია" – საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმება სხვა ქვეყნებისთვისაც სამაგალითო იქნება

ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებთან - სახალხო დამცველის დანიშვნასა და სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, „საერთაშორისო ამნისტიის" გენ.მდივანმა პიერ სანემ საქართველოს პრეზიდენტს ე. შევარდნაძეს წერილი გამოუგზავნა. ამის შესახებ „იფრინდა"-ს პრეზიდენტის პრეს-სამსახურიდან აცნობეს.

წერილის ავტორი აცხადებს, რომ მისი ორგანიზაცია მხურვალედ მიესალმება ამ ორ ცვლილებას, რომლებიც, მისი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეს.

პიერ სანე აქვე იუწყება, რომ თანამშრომლობის მიზნით „საერთაშორისო ამნისტია" მალე დაამყარებს კონტაქტებს ახალ სახალხო დამცველთან დავით სალარიძესთან.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას, პ. სანე მთელი ორგანიზაციის სახელით გამოთქვამს იმედს, რომ „დასჯის ამ ღონისძიებების სრული გაუქმების შესახებ საქართველოს გადაწყვეტილება კარგი მაგალითი იქნება დსთ-ს წევრი ქვეყნებისათვის და სხვა სახელმწიფოებისათვის, რომელთა კანონმდებლობა სასჯელის უმაღლეს ზომას - სიკვდილის ითვალისწინებს.

„საერთაშორისო ამნისტია" დაბეჯითებით მოუწოდებს საქართველოს გადადგას ნაბიჯები სიკვდილით დასჯის მსოფლიო მასშტაბით გაუქმებისათვის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულების - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულების მეორე არასავალდებულო ოქმის რატიფიცირებისაკენ. (იფრინდა)

## ● ინტერვიუ გამგებელთან

# რა მნიშვნელობა ექნება კადრების შეცვლას, თუ აზროვნება არ შეიცვალა?

*ბოლო დროს სამტრედიის რაიონში ბევრი ცვლილება მოხდა. ადგილობრივი მმართველობის სათავეში მოვიდა თეიმურაზ ვაჟას ძე ყაჭეიშვილი. ჩვენ ვესაუბრეთ ბატონ თეიმურაზს.*

***– როგორ შეაფასებდით მიმდინარე წლის განვლილ პერიოდს?***

– 15 მაისიდან მოყოლებული, რაც მე დავინიშნე გამგეობის თავმჯდომარედ, იმ პრობლემების გადაწყვეტას ვცდილობთ, რაც ასე მრავლად დაგროვდა: პედაგოგების ხელფასები, საომარი მოქმედებების დროს დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფა გარკვეული დახმარებით, ასევე მნიშვნელოვანია რიონის სანაპიროს გამაგრება. პრეზიდენტის შეწევნით გამოგვეყო 100000 ლარი გაუცემელი ხელფასების დასაფარავად და 50000 ლარი დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. პრობლემა იყო რკინიგზის გადასასვლელის გაუქმება. რკინიგზის დეპარტამენტთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ გადასასვლელი აღდგება, ოღონდ ქალაქიდან 300 მეტრის დაშორებით. მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხი.

***– მიეწოდება თუ არა მოსახლეობას ელექტროენერგია და როგორ?***

– გრაფიკი დაცულია. ჩვენი რაიონის მოსახლეობა არ შეიძლება ამ მხრივ უკმაყოფილო იყოს. არის, რა თქმა უნდა, შეფერხებები, მაგრამ სხვა რაიონებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

***– რაიონში არსებულ სოციალურ ვითარებაზე რას გვეტყოდით?***

– ამ მხრივ არ არის კარგი მდგომარეობა. ძირითადი გასაჭირი მაინც უმუშევრობაა, უამრავი მთხოვნელი მოდის ამ საკითხზე. გარდა ამისა, ბიუჯეტი არ სრულდება, ამასთან საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ დავალიანებაც გვაქვს. უკვე დროა 1998 წლის ბიუჯეტზეც ვიფიქროთ. ბიუჯეტის შესრულება საშუალებას მოგვცემს, დავეხმაროთ სოციალურად დაუცველ ფენას.

***– თვალში საცემია ახალგაზრდა კადრების გამოჩენა გამგეობის შემადგენლობაში. ამას რა კომენტარს გაუკეთებდით?***

– ახალგაზრდობას უნდა მივცეთ სიტყვა, მათ შეუძლიათ ცხოვრებაში მრავალი ახალი შემოიტანონ. მათთან თანამშრომლობა და მუშაობა მეტად საინტერესოა.

ნანა ძველაია

# ითამაშეთ და მოიგებთ... სიხარულს!



პლეხანოვზე ჩვენი თაობისათვის ალბათ სულ ეს სახელი ერქვევა ამ ქუჩას) 136 №-ში სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში არის ერთი ოთახი, №31. სანამ იქამდე მიაღწევს ადამიანი, ძნელად თუ იფიქრებს, რომ აქ რამე საინტერესოს ნახავს. ჩაბნელებული დერეფანი, დაბზარული კედლები, შუქი მხოლოდ გამარჯობის სათქმელად თუ შემოირბენს.

ამ ოთახში შესული კი მოულოდნელ სიტუაციას წააწყდები. ყველა რაღაცნაირად სასიკეთოდ დამუხტულია, ყველას მუშაობის განწყობა აქვს. როცა უფრო კარგად გაეცნობი ვითარებას, იფიქრებ, ალბათ იმიტომ, რომ აქ ოთარ მიქელაძე მუშაობსო. იგი საოცრად ენერგიული, მხიარული, შემოქმედებით აღსავსე და ბავშვივით მოთამაშე ადამიანია. არავინ იკითხავს მისი შემხედვარე, რა იყო გუშინ, იმიტომ, რომ მისთვის ყოველთვის არის „დღეს" და „ხვალ". მის ირგვლივ მყოფთაც უმალვე ეს განწყობა ეუფლება.

დღეს? დღეს არის დასაწყისი. არის სცენარი, დრამატურგი, მსახიობები, რომლებიც ჩვეულებრივი გოგო-ბიჭები არიან ქუჩაში, მაგრამ აქ ყველანი არაჩვეულებრივ ადამიანებად იქცევიან. დაბოლოს, არის რეჟისორი – ოთარ მიქელაძე. მისთვის ამ ოთახში ცხოვრების წვრილმანები აღარ არსებობს. რჩება მხოლოდ თეზა, პერსონაჟები და თამაში. ადამიანს ყოველთვის ცდილობს, რომ ითამაშოს. ზოგი ადამიანთა ბედით თამაშობს, ზოგი ფულით... „ფული? მომცენ მილიონი და მითხრან, ყველა ადამიანი უნდა მოვსპოთო. რა შავ ქვად მინდა? მე მინდა თქვენ შეგაჩეროთ ერთი წუთით, ჩემო კარგო, გითხრათ: – მოდი ჩავიდეთ აგერ ბარში, ვისაუბროთ, ამისთვის მხოლოდ". ზოგი, ვინც თამაშის სხვა საშუალებას ვერ გამონახავს, აზარტულ თამაშებს თამაშებს. მაგრამ არიან ადამიანები, ვინც დადგამს იატაკზე ხის კუბს ან სკამს, დაუძახებს კიდევ ერთ ადამიანს და იწყება თამაში.

ოთარ მიქელაძეს დღეს ორი დიდი საქმე აქვს დაწყებული. იგი დგამს სპექტაკლს „მზის დაბნელება საქართველოში", რომელიც ალბათ მრავალჯერ დაუდგამთ, მაგრამ ეს იქნება მისი და არცერთ სხვას არ ემგვანება. „ჩემი მიზანი უბრალოა: მოვიდეს მაყურებელი და იცინოს, უბრალოდ იცინოს, კეთილი სურვილებით აღავსოს, თეატრის ხავერდოვან და ფერადოვან გარემოში იცხოვროს და შემდეგ წავიდეს იქ, სადაც მიდის და იქაც მიიტანოს ხალისი, სიმხიარულე".

პარალელურად იგი იღებს ფილმს. გადაღება იწარმოებს ამსტერდამში, ანტალიაში, მოსკოვში, თბილისსა და ბათუმში. ესეც ახალი სკოლაა, ახალი მოსწავლეები. ოთარ მიქელაძესთან მომუშავე ყველა ახალგაზრდა მისი მოსწავლეა და შემდეგ მისი მეგობარი ხდება. იგი იწვევს არაპროფესიონალ მსახიობებს მთავარ როლებზე.

და ბოლოს ძალიან გასაკვირია, რომ ოთარ მიქელაძის თეატრში ვერ გაიგებთ წუწუნს მთავრობის, თელასის ხელმძღვანელის მისამართით, სპონსორების ნაკლებობის თემაზე და კიდევ ვინ მოსთვლის, პრობლემები ხომ ასე ბევრია. ეს იმიტომ, რომ მათ არ სცალიათ, ისინი თამაშობენ. ნუ შეუშლით ხელს!

პაატა მანძულაშვილი

# ქართული კულტურის გენიამ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ნაბიჯისაკენ უბიძგა

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ქართული კულტურის გადარჩენისათვის გამოყოს 5 მლნ $. ამგვარი გადაწყვეტილება პირველია მსოფლიოს უდიდესი საფინანსო ორგანიზაციის ისტორიაში.

„ქართული კულტურა უნიკალურია და მასში გამოვლენილი გენია შთაგვაგონებს არ შევანელოთ მის მიმართ ყურადღება" – ასე ახსნა მსოფლიო ბანკის უპრეცედენტო აქცია ბანკის საგადასახადო ჯგუფის ხელმძღვანელმა თომას ბლინკჰორნმა 12 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე. მისი თქმით, აღნიშნული პროექტი მხოლოდ დასაწყისია და ამჯერად იგი რამდენიმე ისტორიული ძეგლის აღდგენას ითვალისწინებს. ამჯერად ბანკის არჩევანი სიღნაღზე, ძველ თბილისზე, შატილსა და უფლისციხეზე შეჩერდა. თუმცა, თანხის გარკვეული ნაწილი ზოგიერთი სხვა ძეგლისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენასაც მოხმარდება.

„ამ პროექტში მე ვხედავ მომავალს და თუ მისი მნიშვნელობის გლობალიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი, მე ამაში ვგულისხმობ, რომ გადარჩეს მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურული მემკვიდრეობა. სხვაგვარად ჩვენს პლანეტაზე ცხოვრება არ ღირს" – ასე შეაფასა ე.შევარდნაძემ მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული პროექტი და მთელი ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა ბანკის ხელმძღვანელობას განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის. (იფრინდა)


# XI კლასელებო, აბიტურიენტებო, სტუდენტებო!

გამოვიდა ნოდარ გრიგალაშვილის „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები". წიგნი დამტკიცებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ.




ძვირფასო მკითხველო, ამ წიგნს რეკლამა არ სჭირდება. გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე. ვინც სწავლობს XI კლასში, აპირებს ჩააბაროს უმაღლესში და საერთოდ, ვისაც უყვარს ლიტერატურა, სასწრაფოდ მიაკითხეთ:

მაღაზია „საუნჯეს"

საფირმო მაღაზია „მერანს" (რუსთაველის №42).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსში წიგნების ჯიხურს.

გაზეთ „საქართველოს" რედაქციის წინ მდებარე საგაზეთო ჯიხურს (პუშკინის ქ.№5).

ლიტერატურის მასწავლებლებს, რომელთაც სურვილი ექნებათ მოწაფეებისათვის წიგნის რამდენიმე ეგზემპლარზე გააკეთონ შეკვეთა, ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ ტელეფონზე: 93-18-41 ან 93-20-36

იჩქარეთ, წიგნის ტირაჟი შეზღუდულია



EXPRESS AUDIT SERVICE EXPRESS AUDIT SERVICE EXPRESS AUDIT

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია N 091;
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას
ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ.5 მე-2 სართ.
ტელ: 93-15-89


## გიგა რუხაიას!



გოგუშკი, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს და, შენი ცხოვრების ასპარეზზე ნუ გაჩნდება უსიამოვნების მომტანი პატარა ღრუბელიც კი.

გისურვებ ყოფილიყავი ყოველთვის ასეთი დინჯი, კეთილი და ჭკვიანი. გაზრდილიყავი საქართველოს საამაყო და სასახელო შვილი.

„გილოცავ დაბადების დღეს,
მთელი გულით და სულითა
დაგბედებოდეს ლამაზი
ცხოვრება სიხარულითა".
გოგა, მიყვარხარ ძალიან.

შენი ნატო „მამუა"


## ბინები

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საირმის ქუჩაზე, ბელეტაჟზე, კარგი პროექტის ერთოთახიანი ბინა სრული ლოჯიით, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-68-51; 95-77-05; 99-75-01

იყიდება 2 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8 სართულიანის მე-6 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-36-24

იყიდება 2 ოთახიანი ბინა დიღმის მასივში 8 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 52-61-08

იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული აივნიანი ბინა 8 სართულიანი სახლის 5 სართულზე, ჭერი 2,80. ფასი 6500$ ტელ. 32-69-01

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიით, რვასართულიანის მერვე სართულზე, კინო „საქართველოსთან" ახლოს.ფასი 10000$ ტელ. 61-71-46 ნანა

იყიდება ოროთახიანი ჩეხური პროექტის გარემონტებული ბინა მუხიანში, ტელეფონით, ფასი 7500$ ტელ. 64-93-48

იყიდება არასტანდარტული ოროთახიანი ბინა რუსთაველის პროსპექტზე. საერთო ფართი 101 კვ.მ, საცხოვრებელი ფართი 62 კვ.მ, ჭერის სიმაღლე 5 მ-დე, მუხის პარკეტით. სუფთა ბინა, ტელ. 98-66-49

იყიდება სააგარაკო მიწის ნაკვეთი 600 კვ.მ, 2 სართულიანი სახლით. თავის სამზარეულოთი, ორივე სართული გამოიყენება საცხოვრებლად, მარნით. სათავსოთი, ტერიტორიულად მდებარეობს სოფელ გლდანის თავზე, პლასტმასის ქარხნის მებაღეობაში, შუქი მუდმივად, ავტოფარეხით, ხეხილით. ფასი 12000$ ტელ. 62-24-76 საღამოს საათებში

## ქირავდება

ქირავდება ბინა ვაკეში მცხეთის ქუჩაზე ოფისისათვის ან საცხოვრებლისთვის ტელ. 23-16-96

ქირავდება ვარანცოვზე ხეთაგუროვის ქუჩა №1, 2 ოთახიანი ბინა, ფასი 30 დოლარი, იკითხეთ ნაზიბროლა, ტელ. 96-99-70

ვაქირავებ ბინას სანზონის დასახლება 1/3 კორპუსი, III სართული, ბინა 8 ერთოთახიანი იზოლირებული, გარემონტებული, ტელეფონით და ატმორით ფასი 25 ლარი ტელ. 71-45-38 ზაირა

ქირავდება ვაკეში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე სამოთახიანი ბინა ავეჯით, წყლის გამაცხელებელით ბაკით, ტელეფონით. საწყისი ფასი 450$ ტელ. 22-26-31

## ვამზადებ

ვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ქიმიაში. ფასი მინიმალური. ტელ. 95-86-04 ნათელა

ვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში, სახლში მისვლით. ფასი მინიმალური. ტელ. 95-86-04 მანანა

## სხვადასხვა

იყიდება ხელის საკერავი მანქანა. ფასი 40 ლარი. ტელ. 98-34-65

იყიდება ახალი მტვერსასრუტი. ფასი 150 ლარი. ტელ. 67-24-35

იყიდება ნებისმიერი საწვავის გასამართი 18 ტონიანი კონტეინერი. ფასი 1600 ლარი. ტელ. 39-31-75

იყიდება რუსეთის წარმოების 4 კვ-ნი სიმძლავრის გენერატორი. ფასი 450 ლარი.

ავტომანქანა „ჟიგულის 21-011" ძრავა საუკეთესო კაპიტ.რემონტით. ფასი 450 ლარი.

რუსეთის თუჯის აბაზანა 1,50 მ. ფასი 100 ლარი.

რუმინული ავეჯი „ტულპანი" სრული კომპლექტი. ფასი 4000 ლარი. ტელ. 39-31-75

იყიდება ძველებური ირანული სარკე 3მ. 10სმ სიმაღლის, ფასი 800$ ტელ. 96-88-24 გოგა

# «გინდ იყავ მეფე, გინდ იყავ მონა, სიკვდილთან როკვა შენი ხვედრია!!!»

## როგორ კლავდნენ სიკვდილმისჯილებს...



რუსეთმა ევროპის საბჭოში ადგილი მიიღო და ამით საკმაოდ მძიმე მოვალეობანი" იკისრა ტვირთად. მათ შორის – სიკვდილით დასჯის აკრძალვა. მთელი თავისი ჰუმანიზმის მიუხედავად, სიკვდილით დასჯის უარყოფის იდეას ყველა როდი უჭერს მხარს რუსეთის საზოგადოებაში, დანაშაულის გაუგონარი თარეშით რომ არის შეშინებული. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა გავეცნოთ ამერიკის გამოცდილებას, სადაც სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების კანონი სხვადასხვაგვარია სხვადასხვა შტატში და დღემდე ცდილობენ, არცთუ წარმატებით, ჰუმანური გახადონ თვით ტექნოლოგია სიკვდილით დასჯისა.

ვიქტორ ჰიუგო 1948 წელს დეპუტატებისადმი მიმართვის დროს მგზნებარედ უმტკიცებდა მათ, რომ ადამიანს დასაბამიდან არ აქვს უფლება სიცოცხლე წაართვას მოყვასს. „სამი კატეგორიაა – ღმერთის და არა ადამიანის წილხვედრი: საბოლოობა, გამოუსწორებლობა და ურღვეობა. წყეულმც იყოს იგი, ვისაც ისინი კანონთა კოდექსში შეაქვს!!"

ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, საზოგადოებრივი აზრი ამერიკაში დღემდე ამ ორ პოლუსს შორის მოძრაობს. 1972 წელს სიკვდილით დასჯის მანქანა უარყოფილი იყო. მაგრამ უკვე 1976 წელს სიკვდილის სასტიკი მანქანა კვლავ ამოქმედდა. ამის შემდეგ სიკვდილით დასჯა 38 შტატში განახლდა. მათ შორის ბოლო, 1995 წლის 1 სექტემბრიდან ნიუ-იორკი გახდა.

ამჟამად ამერიკის ციხეებში ჰყავთ რეკორდული რაოდენობის დამნაშავეები, რომელთაც მისჯილი აქვთ სასჯელის უმაღლესი ზომა. ერთნი სიცოცხლეს ელექტროსკამზე დაასრულებენ, მეორენი ვენაში შხამის შეშხაპუნებით დაიხოცებიან, მესამენი მომწამვლელი აირით მოიგუდებიან.

ძნელია წარმოიდგინო, რას გრძნობს განწირული, როდესაც შეატყობინებენ, რომ შეწყალებაზე უარი განუცხადეს და სიკვდილით დასჯამდე 10 დღით ადრე გადაჰყავთ გრინჰეივენის ციხეში, სადაც განაჩენი უნდა აღსრულდეს. წამებამდე მას დღე და ღამ უთვალთვალებენ ცალკე საკანში, სადაც არის პირსაბანი, საპირფარეშო, დგას საწოლი ლეიბითა და ბალიშით. სიკვდილმისჯილს ნებას აძლევენ ჰქონდეს ერთი შარვალი, ერთი პერანგი, ქვედა საცვლის კომპლექტი, წყვილი წინდა და ჩუსტები, ზოგიერთი საკულტო აქსესუარი (იმის მიხედვით, თუ რომელ რელიგიას აღიარებს), 10 საოჯახო ფოტოსურათი, ნიშნობის ბეჭედი და სიგარეტების ერთი ბლოკი კვირაში. სიკვდილმისჯილმა კვირაში სულ ცოტა სამჯერ მაინც უნდა მიიღოს შხაპი, რომლის ხანგრძლივობა 5 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. თუ პატიმარი თამბაქოს მოწევას მოისურვებს, სიგარეტს მცველი აუნთებს.

სიკვდილით დასჯამდე ერთი დღე-ღამით ადრე წყდება ყველა შეხვედრა უახლოეს ნათესავებთან. მღვდელმსახურს შეუძლია დარჩეს სიკვდილმისჯილთან ბოლო წუთამდე, ვიდრე მას იმ ოთახში წაიყვანენ, სადაც სიკვდილის ინექციას შეუშხაპუნებენ. შპრიცებს სიკვდილით დასჯამდე ერთი საათით ადრე ამზადებენ. 30 წუთით ადრე ადგენენ სასიკვდილო ნარევს. განაჩენის აღსრულებამდე ხუთი წუთით ადრე „საგორავზე" დაბმული მსჯავრდებული შეჰყავთ სასიკვდილო საკანში. შემდეგ ციხის თანამშრომლებს შეაქვთ შპრიცები. მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკის გამოსასწორებელ დაწესებულებათა კომისიის მეთაური გამოაცხადებს, სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ გუბერნატორის განკარგულება არ მიგვიღიაო, გაიცემა ბრძანება განაჩენის აღსასრულებლად. შპრიცებში ჩასხმული ნარევი წინასწარ მომზადებული მილაკების მეშვეობით ჯალათს სიკვდილმისჯილის ორივე ხელის ვენებში შეჰყავს. ამის შემდეგ საკანში მიიწვევენ ექიმს, რომლის მოვალეობაა დაადასტუროს სიკვდილის ფაქტი...

სიკვდილით დასჯის ასეთი ხერხიც ანტიჰუმანურად გამოაცხადეს. ამის საბაბი გახდა აირსაკანში მკვლელის რობერტ ჰარისის დასჯა, რომელმაც ბევრი შეაძრწუნა.

1992 წლის 21 აპრილს, ადრე დილით, სან-ფრანცისკოსთან მდებარე სანკვენტინის ციხის ჭიშკართან უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე კალიფორნიის უზარმაზარ შტატში სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. ხანგრძლივი მორატორიუმის დარღვევამ მაქსიმალურად მოიზიდა როგორც სიკვდილით დასჯის მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღება მიიპყრო.

ექვსს რომ ათი წუთი აკლდა, ჰარისი შეიყვანეს აირსაკანში, სავარძელზე დააბეს და უკანასკნელი სიტყვის თქმის ნება დართეს. იგი იუმორიანი კაცი აღმოჩნდა და ოდესღაც ნანახი ფილმიდან ამ შემთხვევის შესაფერი სენტენცია წარმოთქვა: „გინდ იყავ მეფე, გინდ იყავ მონა, სიკვდილთან როკვა შენი ხვედრია!!"

აირსაკნის ამერიკული ვარიანტი ჭეშმარიტად ჯოჯოხეთს ჰგავს. ჰარისი სავარძელზე მიაბეს, ფეხებს შორის დაუდგეს გოგირდმჟავიანი ჭურჭელი. 25-ე წუთზე მასში წვრილი თოკით ჩაუშვეს დოლბანდში გახვეული ციანიდის გრანულები. მჟავით დამწვარი მსუბუქი ქსოვილი თეთრად აბოლდა, ხოლო ჰარისი უფერულ მომაკვდინებელ აირში გაეხვია. ხელის თითები სავარძლის საიდაყვეებზე კრუნჩხვით აუტოკდა. კანი თანდათან იულინთებოდა ქვემოდან წამოსული აირის ორთქლით.

ჰარისს სული ეხუთებოდა, ფართოდ გაღებული პირით ჰაერის ჩასუნთქვას ლამობდა, მაგრამ ჰაერი უკვე მოწამლული იყო. მომაკვდავმა თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო, თვალები ბუდეებში ჩაუცვივდა. გავიდა კიდევ ნახევარი წუთი და ახლა ჰარისს თავი მკერდზე ჩამოუვარდა. მოკვდა? უცბად ყველა შეძრწუნდა: განწირული კვლავ დაიძაბა, თავი სწრაფად ასწია მაღლა, თითქოს ღვედებიდან გასხლტომას ლამობსო. მაგრამ მომწამვლელმა აირმა თავისი ქნა. თავი ისევ ნელ-ნელა დაეშვა მკერდზე. ჰარისს ხელები გაუქვავდა, შუბლზე ვენა გამოებერა, გეგონებოდათ ეს-ეს არის გასკდებაო. მისი ფართოდ გაღებული პირი სტვენით ისრუტავდა მომაკვდინებელ ჰაერს, სახეზე სისხლი მოაწვა და სულ მთლად გაუჭარხლდა. მზერა ჩაქრა. აქ დაიწყო დაუჯერებელი რამ: ჰარისმა თავი კვლავ წამოწია, შეუკავებელი ხველება აუტყდა. პირიდან ქაფიანი დორბლი წამოუვიდა, სხეული კრუნჩხვებისაგან აუძაგძაგდა...

სიკვდილით დასჯის დაწყებიდან მხოლოდ 21 წუთის შემდეგ შეწყდა კრუნჩხვები და ჰარისიც გაირინდა. გავიდა კიდევ 7 წუთი და ოფიციალურად გამოაცხადეს: „სიკვდილმისჯილი ჰარისი, რომლის ნომერია – 66883, მკვდარია".

წელიწადნახევარი გავიდა და კალიფორნიაში ჰარისის ბედი გაიზიარა დევიდ მეისონმა, რომელიც ასევე ნელ-ნელა და ტანჯვა-წვალებით გარდაიცვალა.

სიკვდილით დასჯა თავისი ბუნებით განსაკუთრებული, შეუქცევი სასჯელია. სასამართლო პრაქტიკაში ცოტა როდი ყოფილა შემთხვევა, როდესაც იმ ქვეყნად უდანაშაულო გაუსტუმრებიათ. რა ვუყოთ ცნობილ პრინციპს: დაე დაუსჯელი დარჩეს 100 დამნაშავე, ვიდრე დაიღუპოს ერთი უდანაშაულო?! მივმართოთ თუნდაც სასამართლო კლასიკას – საკოსა და ვანცეტის საქმეს. ისინი ელექტროსკამზე დასაჯეს, რომელშიც 1800 ვოლტი გადიოდა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დადგინდა, რომ მკვლელობა მათ არ ჩაუდენიათ. ნახევარი საუკუნე დასჭირდა იმას, რომ განაჩენი საბოლოოდ ეღიარებინათ.

არის კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ – ეს არის მისი არჩევითობა და ამ მიზეზით – უსამართლობა. შავკანიანი ამერიკელები შეადგენენ ამერიკის შეერთებული შტატების მხოლოდ 15%, მაგრამ სიკვდილმისჯილთა ნახევარი მათზე მოდის და პირიქით, სიკვდილით დასჯის 90%-ზე მეტი მოდის იმ დამნაშავეებზე, რომლებმაც თეთრკანიანი მოკლეს. თუმცა მკვლელობის მსხვერპლთა ნახევარი შავკანიანია. აშშ-ს ისტორიის მანძილზე სიკვდილით დასაჯეს 16 ათასამდე კაცი და მათ შორის მხოლოდ 30 თეთრკანიანს მიესაჯა ეს უმაღლესი ზომა შავკანიანის მოკლისათვის.

ზოგიერთი პრაგმატიკოსი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მერკანტილურ მოსაზრებასაც კი იყენებს, მაგალითად, გამოანგარიშებულია, რომ ფლორიდის შტატში ერთი ტუსაღის სამუდამო პატიმრობა სახელმწიფოს საშუალოდ 300 ათასი დოლარი უჯდება, ხოლო ყოველი სიკვდილით დასჯის ხარჯები შეადგენს 1,3 მილიონ დოლარს. აქედან დასკვნაც: მკვლელები სიკვდილით კი არ დასაჯონ, არამედ გაგზავნონ მძიმე სამუშაოებზე – დაე გამოიმუშაონ საკუთარი თავის შესანახი ხარჯები და ამასთან, ნაწილობრივ მაინც აუნაზღაურონ ზარალი თავიანთი მსხვერპლის ნათესავებს. მე ვფიქრობ, რომ ეს გონივრულიც არის და ჰუმანურიც.

**მოამზადა შალვა ჯიბლაძემ**

# კაიფვორდი



**მიყოლებულად:** 1. ეროვნებით „ოსი ვალიდოლის" მსმელი მთავარი გმირის შემსრულებელი ტელესერიალიდან; 2. ჩვენს „ერში" ყველაზე „გონებაგახსნილი" ადამიანი; 3. „ქოშინით შეკერილი" ჩუსტი; 5. მხატვრული ნაწარმოების „პერსონალური" მოქმედი პირი; 8. „დავ-მიცემული" ლოგინად ჩავარდნილი, რომლისთვისაც „პირველი მუსიკალური ნოტი საყვარელია" (რუს.ნაწ.კავშ.); 9. სამზარეულო ატრიბუტი, რომელიც საფრენადაც გამოიყენება; 11. „ოსი" ეროვნების ირემი; 13. ქართული ცეკვის ყველაზე „მშრალი" ოსტატი (რუს.კავშ.); 16. „ბაკივით" დიდი სინისმაგვარი თევზი; 17. ცხვრის ნაშიერი „კანგაცლილი ბატი"; 18. „ბაზა", რომელიც ტურისტებისთვისაც არის განკუთვნილი და „ტურებისთვისაც"; 20. ბარბაცი, რომლის დროსაც „ფულიანი" ადამიანი თავს ვერ იკავებს და „ტორტში ვარდება" (ნაწ.ინგ.კავშ.); 22. ქვასანაყი, რომლითაც „ქვები" ინაყება; 23. „ზარის ხმაზე" გამოღვიძებული უქნარა „მაცი"; 26. აფსული, რომელიც „იაპონელს" შიშისგან „სამად" მოჭრვენა (რუს.კავშ.); 27. ძველებური სიგრძის საზომი ერთეული, იგივე ადლი, რომელიც ნამდვილად „შინ იმყოფება"; 30. თვალის გუგა, ჩვილი ბავშვი.

**მიღმოლილად:** 4. ამირანის „სუპის მჭამელი" დევგმირი ძმა; 6. ბოსტნეული, რომელსაც „კომაში ჩავარდნილი ბოსი დღეში ასჯერ" ჭამს (ნაწ.რუს.კავშ.); 7. მცირეალკოჰოლიანი სასმელი, რომელსაც „ხალხი" მიირთმევს (რუს.კავშ.); 10. ელვარება, ლაპლაპი „ალის წინ" (რუს.კავშ.); 12. „ტელევიზორში სინით მორთმეული" გადაცემა, რომელსაც „ვიდეოთი" გადმოსცემენ; 14. „ნაკადულის" დინება; 15. „შორს ჩასაცმელი გატიკნული" შარვალი; 19. „ბარით გასატყეპი" ფრინველის ნაშიერი; 21. „ქანების" დასამაგრებელი ხრახნიანი ღრუს მქონე ლითონის ნაჭერი; 24. ის, ვისაც ფული არ უნდა და თვითონ ფულია (სიმღ.); 25. საპრიალებელი, რომელსაც „იკას მასტის" ბიჭები უსვამენ იატაკზე; 28. „ვარიანში" ქეიფობის მოყვარული ბატონი მეუხრანი; 29. ეშმაკების დასალბობი გუდა; 31. მდინარე ციმბირში, რომელიც „ირას ათასად ქრვენება" (რუს.კავშ.); 32. დახლართული გზა, სადაც „ლაბავოი" ვერ გახვალ; 33. კონტინენტი, სადაც პაპანაქება სიცხეში „იკა აფრენს ხოლმე".

**კობა ბაიდოშვილი**


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444